განკარგულება:**g-49. 492408911**
თარიღი:**29/03/2024**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024-2027წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.გ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წყალტუბოს

მუნიციპალიტეტის

საშუალოვადიანი

განვითარების დოკუმენტი

(2024 - 2027)

სარჩევი

წინასიტყვაობა 1-2

1.სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ეტაპები 2-3

2.სიტუაციის ანალიზი 4-31

2.1 ძირითადი სოციალური ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა.....4-9

2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა 9-15

2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა.....15-22

2.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა 222-25

2.5 განათლება, კულტურა და სპორტი 25-27

2. 6 გარემოს დაცვა.....27-29

2.7 მუნიციპალური სერვისები და მმართველობა 29-31

3.SWOT ანალიზი.....32-33

4.განხორციელების მექანიზმი 34-35

5.მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები 34

6.სამოქმედო გეგმა 38-46

7.მონიტორინგი და შეფასება.....47-48

წინასიტყვაობა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი არის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარ მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი შეიმუშავა ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელმაც გააანალიზა ადგილობრივი ეკონომიკა, გამოავლინა სტრატეგიული სექტორები და განსაზღვრა ის ინიციატივები, რომელთა განხორციელებაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის. დოკუმენტის მომზადებისას გაიმართა კონსულტაციები ორგანიზაციებისა და სპეციალისტების ფართო სპექტრთან, მათ შორის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებთან, ახალგაზრდობასთან, პედაგოგებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. დოკუმენტის შედგენის დროს გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი თანამშრომლობა შესაბამისი მექანიზმების გამოძებნით, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროცესის წინსვლას. ადგილობრივი ხელისუფლების მთავარი მიზანია პარტნიორებთან (კერძო სექტორი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები) ურთიერთანამშრომლობა, რათა გაუმჯობესდეს ადგილობრივი ბიზნეს გარემო და ამგვარად შეიქმნას ხელშემწყობი პირობები კერძო სექტორის მიერ მართული ეკონომიკური განვითარებისა და დასაქმების გაზრდისათვის, რაც ერთნაირად მოუტანს სარგებელს მთელს საზოგადოებას ადგილობრივი თუ ეროვნული მასშტაბით. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი შეიქმნა მუნიციპალიტეტის სოციალ-ეკონომიკური განვითარების კუთხით ადგილობრივი ხელისუფლების ხედვის, მოსახლეობისა და დაინტერესებულ მხარეთა ცხოვრებაში გატარებისთვის და განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარების კურსს მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი ხელს უწყობს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მუნიციპალიტეტის მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღებას მიმდინარე გამოწვევების საპასუხოდ. მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვითი, ასევე, გარემოს, საჯარო სერვიებისა თუ ნფრასტრუქტურისგანვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა, მუნიციპალიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების ეფექტიანი მართვა, ადგილობრივი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. აღნისნული კი მიიღწევა საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობით, მართალია მუნიციპალიტეტში ნაკლებად არსებობს თანამშრომლობისა და კომუნიკაციის სტრუქტურული მექანიზმი, რომლის ფარგლებში სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები შეძლებდნენ ერთმანეთისთვის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებას, ურთიერთთანამშრომლობას, მუნიციპალიტეტი გამოხატავს მზაობას ითანამშრომლოს კერძო

და სამოქალაქო საზოგადოებასთან და ყველა დაინტერესებულ პირთან, თუმცა პრობლემა, რომელიც კერძო და საჯარო ურთიერთთანამშრომლობის დროს გამოიკვეთა, აღმოჩნდა ეფექტური საკომუნიკაციო არხების ნაკლებად არსებობა და თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე კერძო სექტორის მხრიდან, რაც სამომავლოდ გათვალიწინებული იქნება მუნიციპალიტეტის მიერ და ერთობლიობით, დანერგილი დიალოგებით, ურთიერთშეხვედრებით ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის საერთო საქმის მიღწევას, როგორიცაა ეკონომიკური განვითარება, რათა ერთობლივად იქნას შექმნილი უკეთესი პირობები ეკონომიკური ზრდისთვის და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისთვის.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ადამიანური რესურსების განვითარება და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება. სწრაფი ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების და სიღარიბის შემცირების წინაპირობაა, ამავე დროს ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის აუცილებელია თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ხარისხიანი სერვისების უზრუნველყოფით. უმუშევართა დღევანდელი მაჩვენებელი ასახავს ადამიანური რესურსების განვითარების აუცილებლობას. ეკონომიკური განვითარება მიმართული უნდა იყოს ადამიანური რესურსების შესაძლებლობის ამაღლებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდების, დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირების შრომის ბაზარზე, მიგრაციის პროცესის შეჩერებაზე, დისკრიმინაციის საფრთხის წინაშე მყოფი შშმ პირების შესაძლებლობების განვითარებაზე.

წინამდებარე გეგმა სრულ თანხვედრაშია ეროვნულ დონეზე არსებულ სტრატეგიებთან. თითოეულ სტრატეგიაში ყურადღება გამახვილებულია სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, განსაკუთრებულ როლზე იმერეთის რეგიონებიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტზე, როგორც ტურიზმის განვითარების ცენტრზე. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა არ არის ყოვლისმომცველი, ვერ ჩაანაცვლებს სხვა არსებულ გეგმებს, თუმცა ეს არის გეგმა ვიწროდ ფოკუსირებული კერძო სექტორის განვითარებაზე, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას-სამუშაო ადგილების შექმნას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. მუნიციპალიტეტისა და კერძო სექტორის აქტიური მონაწილოება გაგრძელდება როგორც გეგმის განხორციელების, ასევე, მონიტორინგის პერიოდშიც.

- **სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ეტაპები:**

მუნიციპალიტეტის მერის მიერ სამართლებრივი აქტის საფუძველზე (ბრძანება №48.48230861, 27.03.2023) შეიქმნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება მუნიციპალიტეტის პოლიტიკური თანამდებობის პირებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან, კერძო (ბიზნესის) სექტორის წარმომადგენლის,

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლებისგან, მუნიციპალური გენდერული საბჭოს წარმომადგენლებისგან, ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) წარმომადგენლისგან, ახალგაზრდების, განათლების სექტორის წარმომადგენლისგან, ადგილობრივი მედიისა და ადგიობრივი მოსახლოებისგან.

სამუშაო ჯგუფის ამოცანებია:

- მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების იდენტიფიკაცია;
- ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების/გამოწვევების გამოვლენა;
- პრიორიტეტების ან/და პრობლემების გამოვლენა;
- განვითარების ისეთი შესაძლებლობების გამოვლენა, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციების დანერგვას, ეკონომიკის დივერსიფიკაციას.
- ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის თვალსაზრისით გამოწვევებისა და შესაძლო ეფექტიანი მექანიზმის გამოვლენა.

ამოცანების განხორცილების მიზნით დაევალა სამუშაო ჯგუფს მონაცემთა გამოთხოვა-ანალიზი და სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები დაინტერესებულ პირებთან. გაცემული კონსულტაციებისა და ხმათა უმრავლესობით ჩამოყალიბდა SWOT ანალიზი, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა სტრატეგიული ჩარჩო, საერთო ხედვით, მიზნებითა და ამოცანებით. მუნიციპალიტეტში თვეში ერთხელ იმართებოდა სამუშაო შეხვედრა. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ჯგუფის ლიდერი. შეხვედრებისა და საერთო ანალიზის გაზიარების საფუძველზე გამოვლინდა ეკონომიკურ-სოციალური განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, მუნიციპალიტეტის განვითარების საერთო ხედვა, მთავარი მიზნები, რომლის განხორციელებით მიიღწევა საერთო ხედვა, ის ქმედებები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს საერთო ხედვის მიზნების განხორციელებას. დოკუმენტის შედგენის პროცესი მოიცავდა შემდეგი ტიპის სამუშაოების შესრულებას: ინფორმაციის მოძიება-ანალიზი, მუნიციპალიტეტის ზოგადი პროფილის განსაზღვრა, გამოკითხვის შედეგების ანალიზი, ერთობლიობაში განხორციელებული მთელი რიგი განხილვების დროს გამოიკვეთა არსებული პოტენციალის გამოყენებისა და გამოწვევების დაძლევის კონცეფცია, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა საერთო ხედვა, მთავარი მიზნები და მთავარი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში. ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვა/განხორციელების კალენდარი საშუალებას იძლევა, რომ ეს პროცესი შეესაბამებოდეს ადგილობრივი ბიუჯეტირების პროცესს და ხელი შეეწყოს მის ეფექტიან და რაციონალურ დაგეგმვმას.

სიტუაციის ანალიზი

2.1 ძირითადი სოციალური ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილში, კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთით, მდინარეების რიონისა და გუბისწყლის ხეობებში მდებარეობს და იმერეთის რეგიონს მიეკუთვნება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფართობი – 700,1 კმ^2. ადმინისტრაციული ცენტრია – ქ. წყალტუბო. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და ქვეყნის დედაქალაქთან შორის – 249 კმ-ია, ტრანსპორტირების დრო სამი საათია, მუნიციპალიტეტი 7 კმ-ითაა დაშორებული სიდიდით საქართველოს მეორე ქალაქთან ქუთაისთან.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და უახლოეს ფოთის პორტს შორის - 98 კმ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გადის საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზა.

წყალტუბო იმ უიშვიათესი კურორტების რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა დაგეგმარება და განაშენიანება მეცნიერულად დასაბუთებული, ორიგინალური გენერალური გეგმის მიხედვით განხორციელდა. აიგო 22 სანატორიუმი, მათგან არაერთი არქიტექტურული ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს, ხელოვნურად გააშენეს 150-ზე მეტი განსხვავებული სახეობის ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეული კულტურა. სიმწვანეში ჩაეფლო მკურნალი წყაროები და 9 სააბაზანო. ეს ყველაფერი გეგმის თანახმად ამფითეატრის ფორმით, ,,წრიულობის პრინციპით'' განლაგდა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის ქალაქი წყალტუბო - ადმინისტრაციული ცენტრი და 49 სოფელი, რომელთაგან ორი დაუსახლებელია. ,,მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბერის №671 დადგენილებით განსაზღვრულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სტატუსის მქონე 10 დასახლება. მაღალმთიანი სოფლებიდან თითქმის ყველა სოფელი არის მეწყერსაშიში, რაც დამატებით საფრთხეს წარმოადგენს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მდიდარია რეკრეაციული რესურსებით, რომელთაგან აღსანიშნავია თერმულ-რადონული წყლები. წყალი რბილი, კამკამა და უსუნოა, მისი ტემპერატურაა 33-35°. მინერალური წყალი კურნავს შემდეგ დაავადებებს: კიდურების, პერიფერიული ნერვული სისტემის, კანის, გულისა და სისხლძარღვების, ნივთიერებათა ცვლის მოშლილობის, ენდოკრინული სისტემის, გინეკოლოგიურ დაავადებებს. წყალტუბოში აგრეთვე მკურნალობენ რევმატიზმით, პოლიომიელიტით და ცერებრალური დამბლებით დაავადებულები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გვხვდება სხვადასხვა მინერალური რესურსი. ბუნებრივი არქიტექტურით გამოირჩევა ,,პრომეთეს'' მღვიმე, დეკორაციებად წარმოდგენილი სტალაქტიდები და სტალაგნატები. მღვიმეებში მუდმივი ტემპერატურა 14-16 გრადუსია. ,,პრომეთეს'' მღვიმეში შესაძლებელია ნავებით გასეირნება. ბალნეო თავისებურებებთან ერთად სამკურნალოდ გამოიყენება კარსტული მღვიმეების ,,სათაფლიისა'' და ,,პრომეთეს'' მიკროკლიმატი. სათაფლიის ნაკრძალი გამოირჩევა თავისი ისტორიითა და სილამაზით. ეხლახან საფუძველი ჩაეყარა ,,თეთრა მღვიისა'' და ,,გაბზარული ტბის ''რეაბილიტაციას.

უცხოელი ტურისტების დიდ ნაწილს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სწორედ ეკო და სათავგადასავლო ტურზმი იზიდავს. გარდა დაცული ტერიტორიებისა, მღვიმეებისა, ასევე, ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლე ეკო-ტურიზმის განვითარებისთვის საუკეთესო პირობებს ქმნის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის სხვადასხვა ისტორიული ძეგლები: თამარის ციხე დარბაზი, იოანე ნათლისმცემლის სახელობის უძველესი ეკლესია, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ასევე გიორგი ახვლედიანისა და ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმები. დიდი ქართველი მწერლის ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმი „ოტიას ეზო“.

წყალტუბო, ასევე, ცნობილია სამთო წიაღისეული სიმდიდრეებით. მათგან აღსანიშნავია სამრეწველო მნიშვნელობის ბენტონიტური თიხა, მუნიციპალიტეტში გვხვდება კირქვებისა და გრანიტის საბადოები, სააგურე თიხა. პროგნოზით, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების ათვისების მხრივ (თერმული წყლები, საშენი მასალები და სხვა) წყალტუბოს მუნიციპალიტეტი დიდი მნიშვნელობის კურორტის, ტურიზმის და მეწარმეობის ცენტრი გახდება, რაც უპირველესად მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მისი ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

დემოგრაფია - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2023 წლის 1 იანვრის სტატისტიკით შეადგენს 43,4 ათას კაცს, მათგან ქალაქად მცხოვრებთა რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ფარგლებში, 19,5 %-ია, ხოლო დარჩენილი ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე. მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 5 წლის მანძილზე შემცირდა 9%-ით. კლების ტენდენციით ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ.კმ-ზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და 2023 წლის 1 იანვრის მონაცემებით შეადგინა 62,0 კაც/კვ.კმ-ზე. შრომისუნარიანი, ანუ 15-დან 65 წლამდე ასაკის მოსახლეობა შეადგენს 60%-ს.

დიაგრამა N1 - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა 2013 – 2023 წწ.



ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო მზარდია მიგრაციის ტენდეცია, განსაკუთრებით ეს ეხება ახალგაზრდა, კვალიფიციურ და შრომისუნარიან მუშახელს, რომლებიც სამუშაოდ მიდიან საქართველოს ურბანულ დასახლებებში და უფრო განვითარებულ ქვეყნებში იქ არსებული მაღალი დასაქმების შესაძლებლობებისა და სათანადო ანაზღაურების გამო. კიდევ ერთი უარყოფითი ტენდენცია მოსახლეობის დაბერებას უკავშირდება. მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საშუალო ასაკი 42,7 წელს შეადგენს, აქედან მამაკაცის საშუალო ასაკი 40,5-ა, ხოლო ქალის 44,8.

სკოლამდელი ასაკის ბავშვები შეადგენს 1362 (671 ბიჭი, 691 გოგო) . აქედან ქალაქში 592, ხოლო სოფელში 770 ბავშვი; საპენსიო ასაკის მოსახლეობა 12 472 (3773 მამაკაცი, 8699 ქალი), პენსიონერი დევნილთა სტატუსის მქონე პენსიის მიმღებთა რაოდენობა შეადგენს 784. შშმ პირთა საერთო რაოდენობა (I ჯგუფი, II ჯგუფი, III ჯგუფი) კი შეადგენს 7862 პირს.

მოსახლეობის სტრუქტურა შემდეგი სახისაა: ქართველები 98,8%, ეროვნული უმცირესობა 1,2%. ასევე, აფხაზურ-ქართული კონფლიქტის გამო 1993 წლიდან 2023 წლის მონაცემებით ცხოვრობს 5586 იძულებით გადაადგილებული პირი, ძირითადი ნაწილი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით, ხოლო მცირე ნაწილი კვლავ მოლოდინშია.

მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობის კლება გაცილებით მაღალია ქალაქში, სადაც კლების მაჩვენებელი 30%-ზე მეტია, ვიდრე მუნიციპალიტეტის სოფლებში, სადაც შესაბამისად აღნიშნული მაჩვენებელი 15%-ით განისაზღვრება. საგულისხმოა, რომ მოსახლეობის რაოდენობა წინა წლებთან შედარებით, 34%-ითაა შემცირებული, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია ბუნებრივი კლების და მეტწილად მიგრაციული პროცესებით. მოსახლეობის რაოდენობის კლების ტენდენციის ძირითადი მიზეზია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, რაც ძირითადად დასაქმების პრობლემით არის გამოწვეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ოჯახების საკმაოდ მაღალი რაოდენობა პრაქტიკულად გადასულია საცხოვრებლად დედაქალაქში (უმეტესად ახალგაზრდები), ძირითადი ნაწილი

კი საზღვარგარეთ. გარდა ამისა, მეორე, უმთავრეს მიზეზად შეიძლება დასახელდეს მაღალმთიანი რეგიონის ძირითადი ნაწილის მეწყერულ და დატბორვის ზონაში მდებარეობის საკითხი.

ცხრილი: მოსახლეობის რიცხოვნოვნობა სქესისა და ასაკის მიხედვით.

ასაკობრივი ჯგუფები	სულ			საქალაქო დასახლება			სასოფლო დასახლება		
	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი
სულ	**56,883**	**28,343**	**28,540**	**11,281**	**5,124**	**6,157**	**45,602**	**23,219**	**22,383**
0-4	3,471	1,849	1,622	764	413	351	2,707	1,436	1,271
5-9	2,882	1,471	1,411	698	376	322	2,184	1,095	1,089
10-14	2,794	1,474	1,320	631	325	306	2,163	1,149	1,014
15-19	3,276	1,705	1,571	627	305	322	2,649	1,400	1,249
20-24	3,870	2,053	1,817	723	351	372	3,147	1,702	1,445
25-29	3,914	2,155	1,759	766	364	402	3,148	1,791	1,357
30-34	3,580	1,963	1,617	722	346	376	2,858	1,617	1,241
35-39	3,645	1,981	1,664	715	335	380	2,930	1,646	1,284
40-44	3,649	1,982	1,667	678	337	341	2,971	1,645	1,326
45-49	3,697	1,891	1,806	714	302	412	2,983	1,589	1,394
50-54	4,238	2,147	2,091	873	382	491	3,365	1,765	1,600
55-59	3,946	1,874	2,072	805	357	448	3,141	1,517	1,624
60-64	3,899	1,758	2,141	768	320	448	3,131	1,438	1,693
65-69	2,782	1,247	1,535	498	200	298	2,284	1,047	1,237
70-74	2,446	1,022	1,424	389	127	262	2,057	895	1,162

75-79	2,636	1,008	1,628	479	139	340	2,157	869	1,288
80-84	1,410	538	872	282	102	180	1,128	436	692
85+	748	225	523	149	43	106	599	182	417

დიაგრამა 2:

მუნიციპალიტეტში დაბადებული ბავშვების რაოდენობა წლების მიხედვით: 2010-2022 წწ.



მიუხედავად დასაქმების კუთხით პრობლემებისა, დასაქმების მაჩვენებლები მეტ-ნაკლებად სტაბილურია. 2022 წელს დასაქმების დონეა 38,4 %-ია, რაც წინა წელთან შედარებით მომატებულია 3,9 % -ით (2021 წელს -34,5 %). დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 2564 კაცს, რაც წინა წელთან შედარებით შემცირდა 331 ერთეულით. დაქირავებით დასაქმებულთასაშუალო წლიური რაოდენობაც მცირეა ბიზნესში და 2022 წელს 2331 პირი ფიქსირდებოდა, რომელიც ასევე 151 კაცით ნაკლებია წინა წლის მონაცემზე.



2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ეკონომიკა ძირითადად ემყარება სოფლის მეურნეობას, მრეწველობასა და ტურიზმს. მთლიანი მუნიციპალური პროდუქტის 42% მრეწველობაზე მოდის, 20% - სოფლის მეურნეობაზე, 15% - ვაჭრობაზე, 10% - მშენებლობის დარგზე, 6% - ტურიზმზე, 4% - ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგზე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ოფიციალური სტატისტიკის თანახმად 2022 წელს რეგისტრირებულია 1779 მოქმედის ბიზნეს სუბიქტი, ხოლო 2023 წლს 1 ოქტომბრის მდგომარეობით 2049 მოქმედის ბიზნეს სუბიქტი. 2022 წელს წარმოებული პროდუქციის გამოშვება 209,1 მლიონ ლარს შეადგენდა, რაც 36,4 მილიონი ლარით მეტია წინა საანგარიშო წელთან შედარებით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

N	ეკონომიკური საქმიანობის დასახელება (სექცია)	2022	2023 (1 ოქტომბრის მდგომარეობით)
	სულ	**1779**	**2049**
1	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	20	19
2	სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	11	11
3	დამამუშავებელი მრეწველობა	151	152

4	ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	2	2
5	წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	2	3
6	მშენებლობა	108	114
7	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტიმოტოციკლების რემონტი	687	697
8	ტრანსპორტი და დასაწყობება	184	190
9	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	77	78
10	ინფორმაცია და კომუნიკაცია	8	8
11	საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	4	4
12	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	43	43
13	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	27	30
14	ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	35	36
15	განათლება	8	8
16	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	19	19
17	ხელოვნება, გართობა და დასვენება	7	7
18	სხვა სახის მომსახურება	63	63
19	საქმიანობა უცნობია	323	565

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად 2023 წელს 2022 წელთან შედარებით საწარმოთა რაოდენობის ზრდა ძირითადად დაფიქსირდა შემდეგ ეკონომიკურ საქმიანობებში: ვაჭრობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, ასევე გაიზარდა იმ საწარმოთა რაოდენობა, რომელთა საქმიანობა უცნობია.

2020 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორში წლიური ბრუნვა შეადგენდა 227.9 მილიონ ლარს, 2021 წელს 253.9 მილიონი ლარი, ხოლო 2022 წელს 308,5 მლნ ლარი, რაც 54,6 მლნ ლარით აღემატებოდა წინა წლის მაჩვენებელს.

სოფლის მეურნეობა - მუნიციპალიტეტში აღირიცხება 0,77 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა, მათ შორის სახნავი 0,64 ჰექტარი, მრავალწლიანი ნარგავები 0,17 ჰექტარი, ბუნებრივი სათიბები და საძოვრები 1.46 ჰექტარი. სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში დაიწყო უძრავი ქონებების რეგიტრაცია მსაკუთრეების/მართლზომიერი მფლობელების მიერ.

დიაგრამა: სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილება კატეგორიების მიხედით



მუნიციპალიტეტის სიახლოვე ქუთაისთან და მისი კლიმატური პირობები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის განვითარებას, როგორც მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურებისათვის, ასევე სასათბურე მეურნეობების განვითარებისათვის.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის წამყვანი ეკონომიკური დარგი წლიური ბრუნვისა და მოგების მიხედვით სოფლის მეურნეობაა, რასაც ხელს უწყობს ნაყოფიერი ნიადაგი. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი იმერეთის რეგიონში წარმოადგენს ბოსტნეულ-ბაღჩეული და მწვანილეული კულტურები ძირითადი საწარმოო ბაზას. სასათბურე მეურნეობით დაკავებულია ფერმერული მეურნეობების 90%, მათი დიდი ნაწილი ზამთრის პერიოდში ორიენტირებულია მწვანილეული კულტურების (ძირითადად ცერეცო) წარმოებაზე, რომელიც ჩრდილოეთ ქვეყნებში ექსპორტზე გადის, წარმოებული პროდუქციის დიდი რაოდენობის და ბაზრის არასტაბილურობის გამო ხშირ შემთხვევებში მისი ფასი თვითღირებულებაზე ბევრად დაბალია, რაც მწარმოებლის ეკონომიკურ შემოსავალზე მკვეთრად უარყოფით გავლენას ახდენს, სათბურების დივერსიფიცირება ზამთრის პერიოდში და მათი შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვა (გათბობა, სამაცივრო დანადგარები) საშუალებას მისცემს ფერმერს აწარმოოს ადგილობრივი ბაზრისათვის მოთხოვნადი პროდუქცია (ბოსტნეული, სალათები, რომელთა იმპორტირება ზამთრის პერიოდში ხდება ქვეყანაში და საკმაოდ მოთხოვნადია.

სოფლის მეურნეობის კუთხით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მწვანილისა და ბოსტნეულის მწარმოებელი კომპანია ,,ჰერბია'', რომელიც ბაზარს ეკოლოგიურად სუფთა უსასუქო პროდუქციას აწვდის. კომპანია ფლობს ,,Global Gap'' სერთიფიკატს და წყალტუბოს

მუნიციპალიტეტში მოყვანილ პროდუქციას მსოფლიოს ყველაზე მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი გზა ხსნილი აქვს. დღესდღეობით კომპანია წელიწადში 15-მდე სახეობის 500 ტონა პროდუქციას აწარმოებს, მასში დაახლოებით 80 ადამიანია დასაქმებული (ძირითად ადგილობრივი მოსახლეობა) და საქართველოში შეფუთული მწვანილის ბაზრის 95% უჭირავს.

სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულებები გარდა მებოსტნეობისა და მესიმინდეობისა, არის მეცხოველეობა, მეფუტკრეობა და თევზის წარმოება. მუნიციპალიტეტში სულ ცხრა სასატბორე მეურნეობაა, მათ შორის მოქმედია ორი, რომელთა საერთო ფართობი 120 ჰექტარია. გასულ წელს წარმოებული იქნა 78 ტონა თევზი.

უკანასკნელ წლებში მუნიციპალიტეტში დაიწყო კენკროვანი კულტურების (ჟოლო, ლურჯი მოცვი, რემონტატული მარწყვი) მასიური გაშენება, რაც გამოიწვია ბაღების გასაშენებლად სახელმწიფო პროგრამით თითქმის სრულად დაფინანსებამ და კულტურებისადმი ყოველწლიურად მზარდმა მოთხოვნამ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვან შესაძლებლობას სახელმწიფო პროგრამის სასათბურე მეურნეობების კლასტერის განვითარების პროექტი „იმერეთის აგროზონა“ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსება წარმოადგენს, პროექტი გულისხმობს წყალტუბოსა და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში, 220 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე „იმერეთის აგროზონის“ სასათბურე მეურნეობის. მაღალი, საშუალო და დაბალტექნოლოგიური სათბურების, ლოგისტიკის და გაყიდვების ცენტრის, გადამმუშავებელი საწარმოების და სხვადასხვა დამხმარე ბიზნესების შექმნისა და განვითარების ხელშწყობას.

მუნიციპალიტეტში აგრარული სექტორის პრობლემები და გამოწვევები

- მუნიციპალიტეტში დაურეგისტრირებელია საკუთრებაში არსებული მიწების 30%, რაც ხელს უშლის სრულყოფილი ბაზის შექმნას, თუმცა დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს მიწების სიტემური რეგისტრაციის პროცესი.

- ნაკვეთების დაბალმოსავლიანობა, გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ არ ჩატარებულა ნიადაგების აგროქიმიური გამოკვლევა. მიწების გამოკვება ხდება კარტოგრამის გარეშე, ამიტომ ნიადაგები განიცდიან სხვადასხვა ქიმიური ელემენტების შიმშილს, რაც ამცირებს მოსავლიანობას;

- სანერგე და სათესლე მასალების საცდელი სადგურის არარსებობის გამო მოსახლეობისათვის ხელმიუწვდომელია ხარისხიანი სარგავი და სათესლე მასალა;
- ამორტიზებული ჩაის პლანტაციები, რომელთა ჩანაცვლების შემთხვევაში გამოთავისუფლდება 700 ჰა ზე მეტი მიწის ფართობი სხვა კულტურების საწარმოებლად;
- პირველადი წარმოების გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მინიციპალიტეტში წარმოებული ნედლეულის სრულად ათვისება გადამუშავებას, პროდუქციის დიდი ნაწილი ნედლეულის სახით გაედინება მუნიციპალიტეტიდან და გადამუშავდება სხვა რეგიონებში;

- ირიგაცია ესაჭიროება 6000 ჰა-მდე სახნავ ფართობს, რეაბილიტირებულია მხოლოდ მაგისტრალური არხები, შიდა ქსელების უმოქმედობის გამო ვერ ხერხდება მათი გასარწყავიანება;
- სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ცოდნის არასაკმარისი დონე თითქმის ყველა დარგში იწვევს მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებების უგულებელყოფას მათი მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება დარგის რენტაბელობაზე და ხშირ შემთხვევებში მიღებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დანახარჯების ტოლფასია.
- ადგილობრივი ბაზარი ძირითადად გაჯერებულია უცხოური წარმოების სათესი მასალებით, რომელზეც ხელმისაწვდომობა მოსახლეობის მხრიდან დაბალია. ითესება შეუმოწმებელი დაბალი ხარისხის სათესლე მასალები, შესაბამისად დაბალია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონე. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში საექსპორტოდ იწარმოება მხოლოდ მწვანილი, მაშინ როცა შეიძლება ექსპორტს ასევე დაექვემდებაროს ჩაის პროდუქცია, ხმელი სუნელი, მშრალი ხილი და თევზი;
- მუნიციპალიტეტში ბოლო 30 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა ნიადაგის აგროქიმიური გამოკვლევა. ნიადაგის განოყიერება ხდება ქაოტურად, რის გამოც ნიადაგი განიცდის სხვადასხვა ელემენტების ნაკლებობას. მიზანშეწონილია სახელმწიფოს დახმარებით ნიადაგს ჩაუტარდეს აგროქიმიური გამოკვლევები;
- პროდუქტიულობა ასევე დაბალია მეცხოველეობის დარგში, რადგან არ არის სათანადო საკვები ბაზა, არ ხდება საძოვრების გაკულტურება, ჯიშიანი პირუტყვის შემოყვანა, ხელოვნური დათესვლა. მიზანშეწონილია ხელოვნური დათესვლის მინი-სადგურის მოწყობა და მეცხოველეობის რეპროდუქტორის შექმნა, საიდანაც შესაძლებლობა ექნებათ ფერმერებს შეიძინონ ჯიშიანი პირუტყვი;
- წინა წლებში მოხდა მდინარე რიონზე მდებარე სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის განახლება და მაგისტრალური ქსელის მოწყობა, საიდანაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებს მიეწოდება სარწყავი წყალი. მიუხედავად ამისა, ვერ ხდება სოფლების მთლიანად წყლით უზრუნველყოფა, ვინაიდან მოუწესრიგებელია შიდა სარწყავი ქსელი, რის გამოც ფერხდება წყლის მიწოდება მცენარემდე. საჭიროა მოწესრიგდეს შიდა სამეურნეო სარწყავი სისტემების ქსელი სახელმწიფოს დახმარებითა და ფერმერების თანამონაწილეობით;
- სოფლის მეურნეობის დარგებიდან მუნიციპალიტეტში ჩაის კულტურიდან შემოსავალი გასული საუკუნის 90-იან წლებში სოფლის მეურნეობის დარგში წარმოებული პროდუქციის შემოსავლის 51%-ს შეადგენდა. დღეის მდგომარეობით შენარჩუნებულია 726 ჰა ჩაის პლანტაცია, რომელიც ძირითადად სახელმწიფოს საკუთრებაა. აქედან ექსპლოატაციისთვის ვარგისია 32 ჰექტარი, აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებით, რომელიც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა, შესაძლებელია 307 ჰა ჩაის პლანტაციის ეტაპობრივად გამოყვანა და პარალელურად ჩაის გადამამუშავებელი მიკრო ფაბრიკის გადაიარაღება თანამედროვე მოთხოვნების დონეზე. ამ დარგის რეაბილიტაცია შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ხელს შეუწყობს დასაქმების

პრობლემის გადაჭრას, აამაღლებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს და გაზრდის მათ შემოსავალს.

ტურიზმი და მომსახურების სფერო - წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დიდი რესურსია ტურიზმის განვითარებისათვის, რასაც თავისმხრივ ხელს უწყობს უნიკალური სამკურნალო წყლები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კეთილმოწყობილი კარსტული მღვიმეები და ისტორიული ძეგლები. ადგილობრივი თვითმმართველობის მიზანს წარმოადგენს აღნიშნული რესურსის სრული გამოყენება, ინფრასრტუქტურის სრული კეთილმოწყობით, რაც თავის მხრივ ინტერესს გააჩენს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვისათვის.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტს არსებული რესურსის გათვალისწინებით კი გააჩნია მრავალფეროვანი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა. ესენია: ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი. სამკურნალო ტურიზმის კუთხით წყალტუბო მსოფლიო დონის კურორტია, იგი ძალზე ორიგინალური ჰიდროგეოლოგიური აგებულებით გამოირჩევა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მდიდარია რეკრეაციული რესურსებით, რომელთაგან აღსანიშნავია თერმულ-რადონული წყლები. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი არ წარმოადგენს სეზონურ კურორტს, ეს არის კურორტი წელიწადის 12 თვის განმავლობაში.

ტურისტების რაოდენობის ზრდამ ბიძგი მისცა სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას, მაგრამ არსებული სასტუმროები და საოჯახო ტიპის სასტუმრო სახლი/ჰოსტელები სეზონური დატვირთვის დროს სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას, რის გამოც მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს დევნილებისაგან დაცარიელებული და ამ ეტაპზე უსარგებლო სანატორიუმების გასხვისება და ინვესტორების მოზიდვა. ჯერ-ჯერობით ამ კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯებია სანატორიუმების: „მეშახტის“, „ივერიის“ ,,ცისკარის'', ,,მედეას'', ,,თბილისის''პირობებიანი პირადპირი განკარგვის წესით პრივატიზება, რაც ითვალისწინებს მაღალკომფორტული სასტუმროების მოწყობას, ეს კი ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და ტურისტებისათვის კომფორტული გარემოს შექმნას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ამჟამად ფუნქციონირებს 10 სასტუმრო (54 541 ტურისტი) და 20 საოჯახო ტიპის სასტუმრო, რის შედეგადაც ქალაქს შეუძლია ერთდროულად მიიღოს ათასზე მეტი სტუმარი. ასევე მიმდინარეობს დამატებით ექვსი სასტუმროს მშენებლობა. 2023 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტს ესტუმრა 277 075 ტურისტი/ვიზიტორი (პრომეთეს მღვიმეს,სათაფლიის, თეთრა მღვიმეს ვიზიტორები). სამედიცინო მკურნალობის მიზნით ჩამოსულ დამსვენებლების რაოდენობა შეადგენს - 15 449.

შედარებით მცირეა სამკურნალო და გამაჯანსაღებელი პროცედურების მიღების მიზნით ჩამოსული გრძელვადიანი ტურისტების რაოდენობა. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ

კურორტის ნაკლები ცნობადობა და პოპულარიზაცია, როგორც საქართველოში, ასევე, მის საზღვრებს გარეთ.

ფორმალურად, 2018 წელს წყალტუბო, როგორც ბალნეოლოგიური კურორტი გახდა ევროპის ისტორიულ - თერმული ქალაქების ასოციაციის წევრი (EHTTA), ხოლო 2019 წელს ,,ბალნეო-კურორტი წყალტუბო" გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) აფილირებული წევრი.კურორტი ნაკლებად ცნობილია სამედიცინო წრეებშიც. ქალაქში არ ტარდება სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო ღონისძიებები, როგორიცაა სამედიცინო კონფერენციები და ფორუმები. მიუხედავად აღნიშნულისა, კვალიფიციური სპეციალისტებისა და მომსახურე პერსონალის დეფიციტს განიცდიან მოქმედი და ახალგახსნილი სასტუმროები. ქალაქში არ არის ტურისტული კომპანიები და ადგილობრივი გიდები, შესაბამისად არ არსებობს ორგანიზებული ტურები და მოქმედი სასტუმროები დამოუკიდებლად ახორციელებენ სატრანსპორტო საშუალებებისა და გიდების დაქირავებას.

ქალაქში ცოტაა გასართობი ცენტრები ბავშვებისთვის, ღარიბია ადგილობრივი სპორტული ინფრასტრუქტურა, არ არის სუვენირების მაღაზიები, სავაჭრო ცენტრები, კინოთეატრი, შესაბამისად დეფიციტია ღია კულტურული ღონისძიებების, რომლებსაც დაესწრებოდნენ ქალაქის სტუმრები. მიუხედავად იმისა რომ წყალტუბო მოიაზრება ოთხივე სეზონის კურორტად დამსვენებელთა ძირითადი ნაკადი მაინც მოდის ზაფხულის სეზონზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავების პროცესშია ქალაქის განვითარების ერთიანი სტრატეგია და დასრულებულია ქალაქის გენერალური გეგმის კონცეფციაზე მუშაობა, ეს არის კონკრეტული ტერიტორიის ან დარგის განვითარების ამსახველი, გენერალიზებული დოკუმენტი.

მნიშვნელოვანი რგოლია დამეგობრებული ქალაქების ჩართვა ადგილობრივი ტურიზმის განვითარებაში. მათი ადგილობრივი ნაწარმისა და ჩვენი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის გაცვლა, გამოფენების მოწყობა, მოწვევა ადგილობრივ დონეზე და დადებული ხელშეკრულებები ტურისტულ ცენტრებსა და გიდებთან - ტურისტული მარშუტების დაგეგმვა განხორციელებისა და პროდუქტების მიწოდების მიზნით.

2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის სრული გამოყენება, ურბანული განვითარება და ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება მუნიციპალიტეტს ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს.

საკმაოდ ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა და ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტის, რეგიონული განვითარების ფონდისა და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში. ამ ეტაპზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტში საბაზისო ინფრასტრუქტურა: საგზაო ინფრასტრუქტურა, გარე განათება, სასმელი წყლის ქსელი, საბავშვო ბაღები, ტურისტული ინფრასტრუქტურა, შეიძლება ითქვას, რომ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. მიუხედავად ამისა, პრობლემები ამ

მიმართულებებით კვლავაც რჩება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის სტრატეგია მომავალი წლებისათვის უცვლელია და ორიენტირებულია ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობის პროცესში. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილმა თანხებმა ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად, საშუალება მისცა მუნიციპალიტეტის მკვიდრთ განეხორციელებინათ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები (ინფრასტრუქტურული, ახალგაზრდული, საგანმანათლებლო, კულტურული, სოციალური, სპორტული და სხვ.), ასევე თავად დაგეგმონ პროექტები მომავალი წლის ბიუჯეტში და თვალყური ადევნონ მის განვითარებას.

სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა -წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის: საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები:

1.ს 1 - თბილისი - სენაკი - ლესელიძე - 10 კმ (მონაკვეთი სოფ. გეგუთის ტერიტორაზე).

2. ს 1 - თბილისი - სენაკი - ლესელიძე - 10 კმ (ნახშირღელეს სატრანსპორტო კვანძის ქუთაისი - სამტრედიის მონაკვეთი). შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები: 1.შ 12 - ქუთაისი - ხონი - სამტრედია - 10 კმ-ანი მონაკვეთი.

2.შ 15 - ქუთაისი - წყალტუბო - ცაგერი - ლენტეხი - ლასდილი - 25 კმ-ანი მონაკვეთი.

3.შ 16 - ქუთაისი (ჭომა) - ალპანა - მამისონის უღელტეხილი - 40 კმ-ანი მონაკვეთი.

4.შ 52 - წყალტუბო - ხონი - 15 კმ-ანი მონაკვეთი.

5.შ 74 - პრომეთეს მღვიმესთან მისასვლელი გზა - 2 კმ სრულად.

6.შ 104 - ქუთაისი - გეგუთი - საყულია - ბაში - იანეთი - 11 - კმ-ანი მონაკვეთი.

7.შ 111 - ბანოჯა - სათაფლია - 6 კმ სრულად.

8.შ 112 - წყალტუბო - ფარცხანაყანევი - 11 კმ სრულად

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების საერთო სიგრძე 230 კმ-ია. აქედან 40 კმ გრუნტის გზებია, 120 კმ - გზები ბეტონის საფარით და 70 - კმ ასფალტის საფარით. რეაბილიტირებული და მოწესრიგებულია ადგილობრივი მნიშვნელობის გზების 80%.მოსახლეობისათვის პრიორიტეტული კვლავინდებურად საავტომობილო გზების მოწყობა-რეაბილიტაცია არის, ამიტომ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხების 90% საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციას ხმარდება, აღნიშნულის გათვალისწინებით მუშავდება ისეთი პროექტები რომლებიც ამ მიმართებით საშუალოვადიან პერიოდში არსებული პრობელემების გადაწყვეტისკენაა მიმართული. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციისათვის 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2 500 000 ლარით დაფინანსდა 5 პროექტი, ასევე რგპფ-ის მიერ გამოიყოფილი დაფინანსება ყოველწლიურად

იზრდება. 2022 წელს რგპფ-იდან გამოყოფილი 7 300 000 ლარით დაფინანსდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციის 15 პროექტი, მაღალმთიანი სოფლის დახმარების პროგრამით გამოყოფილი 400 000 ლარით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფელ ლეხიდრისთავში განხორციელდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაცია. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი 704 000 ლარიდან 390 000 ლარით შეძენილ იქნა 31 სოფლის საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონი. 2022 წლის 22-23 ივნისს და 2 ივლისს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა და ღვარცოფი) სტიქიის (ძლიერი წვიმა, ღვარცოფი) შედეგების ლიკვიდაციისათვის გამოყოფილი თანხიდან 350 000 ლარით დაფინანსდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, კერძოდ: ცხუნკურის, წყალტუბოს, მექვენის, ოფურჩხეთის, დღნორისის და რიონის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაზიანებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში წყალტუბოს მერიამ, 2022 წელს განახორციელა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტები: 1) „ქალაქ წყალტუბოს მიმდებარე ტერიტორიაზე ბიზნესისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნის მიზნით, თამარ მეფის ქუჩის გაგრძელებაზე, შპს ჰერბია-სთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ასფალტო ბეტონის საფარით“, 1 330 000 ლარის გრანტის დაფინანსებით და 2) „ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნის მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავში, „გაბზარულ ტბა“-სთან მისასვლელი, გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით“, 995 000 ლარის გრანტის დაფინანსებით. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციისათვის 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 100 000 ლარით დაფინანსდა 3 პროექტი, ხოლო რგპფ-ის 5 060 000 ლარის დაფინანსებით განხორციელდა გზების რეაბილიტაციის 12 ინფრსატრუქტურული პროექტი, ასევე ტენდერზეა და უხლოეს მომავალში დაიწყება 1 350 000 ლარის ღირებულების 5 პროექტის სამუშაოები. მაღალმთიანი სოფლის დახმარების პროგრამით გამოყოფილი 700 000 ლარით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში: დერჩსა და დღნორისაში განხორციელდა მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი 704 000 ლარიდან 276 000 ლარით შეძენილ იქნა 23 სოფლის საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონი. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სამ სოფელში: მაღლაკი, ფარცხანაყანევი და ზედა მესხეთში, მგფ-იდან 15900000 ლარი დაფინასებით საუბნო გზების რეაბილიტაციის პროექტი ხორციელდება.

ს ა რ კ ი ნ ი გ ზ ო გ ზ ე ბ ი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სარკინიგზო გზების ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხელშეწყობისა და ტურიზმის განვითარების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თბილისი-წყალტუბოს, ქუთაისი-წყალტუბოს სარკინიგზო სამგზავრო ხაზების აღდგენა და ქუთაისის აღმაშენებლის სახელობის აეროპორტისა ქალაქ წყალტუბოს დამაკავშირებელი ახალი სარკინიგზო ხაზის მოწყობა. შედეგად შემცირდება აღნიშნული

მარშრუტებით მოძრავი ავტოტრანსპორტის რაოდენობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს რეგიონში ეკოლოგიური ფონის გაუმჯობესებას.

მგზავრთა ტრანსპორტირება: წყალტუბოს მუნიციპალიტეტს მუნიციპალურ საკუთრებაში არ გააჩნია მგზავრთა სატრანსპორტო საშუალებები. მგზავრთა მომსახურებას ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში და მუნიციპალიტეტის სოფლებში ქალაქ წყალტუბოდან ახორციელებენ: სს ,,შევარდენი", შპს ,,სხივი", ასევე მუნიციპალიტეტის სოფლების ნაწილს ქალაქ ქუთაისიდან ემსახურება ქუთაისის კერძო სატრანსპორტო კომპანიები. არარენტაბელობის, კერძოდ მგზავრთა ნაკადის სიმცირის გამო სამგზავრო ტრანსპორტი არ ემსახურება 14 მაღალმთიან სოფელს. დანარჩენ 33 სოფელში სამგზავრო ტრანსპორტი ყოველდღიურად რეგულარულად მოძრაობს. სოფლის სამგზავრო ავტოტრანსპორტით უმეტესად ქალები სარგებლობენ, რომელთაც სოფლიდან ქალაქში გასაყიდად ჩამოაქვთ საკუთარ ოჯახურ მეურნეობაში წარმოებული ყველი, კვერცხი, თაფლი და სხვა სასოფლო სამეურნეო პროდუქტი, ხოლო უკან, სახლში დაბრუნებისას ქალაქში ყიდულობენ სხვადასხვა პროდუქტებსა და საოჯახო ნივთებს. სამწუხაროდ წყალტუბოს ტერიტორიაზე, სამარშრუტო ხაზებზე ამჟამად მომუშავე 50 ერთეულიდან, არც ერთი სამგზავრო სატრანსპორტო საშუალება არ არის ადაპტირებული შშმ პირების ტრანსპორტირებისათვის. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია ყოველწლიურად აფინანსებს და უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეთა უფასო ტრანსპორტირებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. წელს პროექტში ჩართულია 27 საჯარო სკოლა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაშტაბით, 114 ლოკაციიდან ყოველდღიურად ხდება 1544 მოსწავლის გადაყვანა სკოლებში და უკან, სახლებში. 2022 წელს სკოლის მოსწავლეთა მგზავრობა დაფინანსდა 340 571 ლარით, ხოლო 2023 წელს დაფინანსდა 415 000 ლარით.

ხიდები: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 28 ხიდია. 2023 წლის 27 ივნისს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა და ღვარცოფი) შედეგად დაზიანდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების, კერძოდ მექვენის, დღნორისასაჩხეურისა და ლეხიდრისთავის დამაკავშირებელი, მდინარე ლაიშაზე არსებული ხიდი. სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის გამოყოფილი 445 000 ლარის დაფინანსებით მიმდინარეობს და წელს დასრულდება ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები.

სარწყავი არხები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი მაშველი სარწყავი არხის და მასთან დაკავშირებული სარწყავი არხების შიდა ქსელი 300 კმ-ია. აღნიშნულში შედის როგორც მაგისტრალური არხები, ასევე პირველი და მეორე რიგის არხები. სარწყავი არხების რეაბილიტაციას, გაწმენდას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს მელიორაციის სამმართველო.

წყალარინებისა და წყალმომარაგების სისტემები: ქალაქ წყალტუბოს მოსახლეობის 50% -ს არ გააჩნია საკანალიზაციო ქსელი. ადგილი აქვს ქუჩებსა და საცხოვრებელ უბნებში ანტისანიტარიის კერების წარმოქმნისა და გზისპირა სანიაღვრე არხებში ფეკალური მასების ჩადინების შემთხვევებს. აღნიშნული პრობლემა ხელს უშლის

ქალაქში ტურიზმის განვითარებას, რადგან ანალოგიური პრობლემის წინაშე დგებიან ქალაქში სამკურნალოდ ჩამოსული დამსვენებლები და უცხოელი ტურისტები. 2022 წელს დასრულდა წყალტუბოს გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, რომელიც მგფ-მა დააფინანსა 8 600 000 ლარით. ამჟამად ს/ს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ქალაქ წყალტუბოში 24 333 333 ლარის დაფინანსებით ახლორციელებს ინფრასტრუქტურულ პროექტს: „ქალაქ წყალტუბოს წყალარინების სისტემის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები“, რომელიც 2024 წლის ოქტომბერში უნდა დასრულდეს. მაგრამ ამ ეტაპზე სამუშაოები მიმდინარეობს ნელი ტემპით და სრულდება უხარისხოდ, ქუჩები (15 ქუჩა) სადაც მოეწყო ახალი ქსელები ცენტრალურ საკანალიზაციო მაგისტრალზე დაერთებული არ არის, შესაბამისად ხდება ჭებიდან საკანალიზაციო მასების ამოდინება, ასევე ქსელის მოწყობის შემდეგ არცერთი ქუჩის გზის შეკეთება კომპანიის მიერ არ მომხდარა, ყოველივე აღნიშნულის გამო მოსახლეობა გამოთქვამს უკმაყოფილებას. ბოლო პერიოდში გახშირებულმა სტიქიურმა მოვლენებმა (კერძოდ კოკისპირულმა წვიმებმა და წყალდიდობებმა) თვალნათლივ დაგვანახა: სტიქიური მოვლენების შედეგების შემცირებისა და პრევენციის მიზნით სანიაღვრე არხებისა და წყალარინების სისტემების მოწყობა-მოწესრიგების სამუშაოების ხშირად ჩატარების აუცილებლობა. 2022 წლის 10 ოქტომბერს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა, ღვარცოფი) შედეგების ლიკვიდაციისათვის გამოყოფილი თანხიდან 350 000 ლარით დაფინანსდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, კერძოდ: დღნორისას, მექვენის, ოფურჩხეთის, რიონის, მაღლაკის, საყულიისა და ოფშკვითის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ასევე ქალაქ წყალტუბოში სანიაღვრე არხების გაწმენდა-რეაბილიტაციის სამუშაოები. ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რგპფ-დან და სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, 2022 წელს, გზისპირა სანიაღვრე არხების, წყალარინებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია დაფინანსდა 595 000 ლარით, ხოლო წყალმომარაგების ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია დაფინანსდა 100 000 ლარით. 2023 წლის 13-14 მაისს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა, ღვარცოფი) შედეგების ლიკვიდაციისათვის გამოყოფილი თანხიდან 340 000 ლარით დაფინანსდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, კერძოდ: მექვენის, ოფურჩხეთის, დღნორისისა და ცხუნკურის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ასევე ქალაქ წყალტუბოში დაზიანებული გზებისა და სანიაღვრე არხების გაწმენდა-რეაბილიტაციის სამუშაოები. ძლიერი წვიმების დროს, ქალაქ წყალტუბოში ყველაზე დიდ პობლემებს გვიქმნის „ვაზნარის ღელე“, რომელიც ხშირად გადმოდის და ტბორავს მიმდებარე ტერიტორიებსა და მოსახლეობას. აღნიშნული პრობლემა დიდი ხანია აწუხებს ქალაქის მოსახლეობას, მაგრამ პროექტის სიძვირისა და ადგილობრივ ბიუჯეტში საჭირო თანების არ არსებობის გამო, აქამდე ვერ მოხერხდა მისი გადაჭრა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რგპფ-დან და სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, 2023 წელს, გზისპირა სანიაღვრე არხების, წყალარინებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია დაფინანსდა 166 500 ლარით, ხოლო წყალმომარაგების ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია დაფინანსდა 712 000 ლარით. ქალაქ წყალტუბოს მოსახლეობას ემსახურება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, ქალაქში წყლის მიწოდება ხდება უგრაფიკოდ, 24 საათის განმავლობაში. შპს „საქართველოს

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ მიერ, ცენტრალიზებული ქსელით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება ხდება 12 სოფელში, 8 ან 12 საათიანი გრაფიკით, ხოლო დანარჩენ 35 სოფელში მოსახლეობა სარგებლობს ჭებითა და ბუნებრივ წყაროებზე მოწყობილი სასმელი წყლის სათავე ნაგებობებზე დაერთებული ლოკალური ქსელებით. სუფთა სასმელი წყლით წყალმომარაგება მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობის პრიორიტეტული საკითხია, ამიტომ ყოველწლიურად ფინანსდება და ხორციელდება სოფლად წყლის სიტემების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, 91 000 000 ლარის დაფინანსებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ამჟამად ახორციელებს წყალარინებისა და წყალმომარაგების სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის 6 ინფრასტრუქტურულ პროექტს.

ელექტრომომარაგება: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდებას ახორციელებს შპს ,,ენერგო პრო ჯორჯია“. დაფარვის ზონა ვრცელდება სრულად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ელექტროენერგია მიეწოდება ქალაქსა და 47 სოფელს, მოსახლეობა აბონირებულია 100%-ით. **გარეგანათება:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობას ახორციელებს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“. ქალაქის ყველა ქუჩაში და 43 სოფლის ცენტრში მოწყობილია გარე განათების ქსელი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 5000-მდე გარე განათების ლამპიონი, რაც დაახლოებით 150 გრძივი კმ-ის ქსელია. ყოველწლიურად, ეტაპობრივად ხდება მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელის გაფართოება. 2022 წელს, ქალაქსა და სოფლებში 12 ლოკაციაზე გარე განათების ქსელის მოწყობა 157300 ლარით დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. დამონტაჟდა 200 გარე განათების ლამპიონი და მოეწყო 6 კმ სიგრძის ქსელი. 2023 წელს 10 ლოკაციაზე გარე განათების ქსელის მოწყობა 177500 ლარით დაფინანსდა. დამონტაჟდა 250 გარე განათების ლამპიონი და მოეწყო 7.5 კმ სიგრძის ქსელი.

გაზიფიცირება: წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მოსახლეობისთვის ბუნებრივი აირის მიწოდებას ახდენს შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი“. დღეისთვის გაზიფიცირებულია ქალაქი წყალტუბო და მუნიციპალიტეტის 23 სოფელი, ბუნებრივი აირი მიეწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 70%-ს. 14 სოფელში ცენტრალური მაგისტრალი გაყვანილია და გასაკეთებელია მოსახლეობის აბონირება (სამწუხაროდ მოსახლეობის აბონირების პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს, ბუნებრივი აირის მიწოდების ცენტრალური მაგისტრალი და ქსელის მოწყობის სამუშაოები დასრულდა 2023 წლის თებერვალში, თუმცა მოსახლეობის აბონირება და გაზიფიცირება დღემდე არ მომხდარა), ხოლო 10 მაღალმთიანი სოფელი დარჩენილია გაზიფიცირების გარეშე.

საკურორტო, ტურისტული, გასართობი ინფრასტრუქტურა: როგორც მოგეხსენებათ წყალტუბო თვისი უნიკალური სამკურნალო წყლებით, მსოფლიოში ცნობილი, პოპულარული ბალნეოლოგიური კურორტია, რომელსაც ყოველწლიურად

მრავალი ათასი ტურისტი და დამსვენებელი სტუმრობს. ბოლო 10 წელიწადში მრავალი მილიონი ლარი დაიხარჯა და ბევრი კარგი საქმე გაკეთდა კურორტ წყალტუბოს აღორძინება-განვითარებისათვის. ამჟამად წყალტუბოში ფუნქციონირებს სამკურნალო წყლების სამი აბაზანა, ბალნეოლოგიური, გამაჯანსაღებელი ცენტრი „BE HEALTHY'' და ორი სანატორიუმი. ვიზტორებს ემსახურება 10 სასტუმრო და 20 ოჯახური სასტუმრო, ტურისტების საინფორმაციოსაკონსულტაციო ცენტრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რამოდენიმე რესტორანი და კაფე. ქალაქის ცენტრალურ პარკში რებილიტირებული და მოწყობილია: გარე განათებები, საფეხმავლო და ველო ბილიკები, არხებზე გადასასვლელი ხიდები, საჩოგბურთო მოედნები, საზოგადოებრივი საპირფარეშოები, სპორტული ტრენაჟორები, დასასვენებელი სკამები, კვების ობიექტები, მოცეკვავე შადრევანი და გასართობი ატრაქციონები. რეაბილიტირებულია ,,ცივ ტბისა" და მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურა, გახსნილია რესტორანი, კაფე და ბუნგალო ღია საცურაო აუზებით. „ცივი ტბის" მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ვიზიტორთა მოზიდვის მიზნით, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში მიღებული 90 000 ლარის გრანტით დაფინანსებით, „ცივ ტბაზე" 2022 წელს მოეწყო შშმ პირთათვის ადაპტირებული საზოგადოებრივი საპირფარეშო. ასევე ევროკავშირის 223 000 ლარის გრანტით დაფინასდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეში, ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ეზოში ამფითეტრისა და საპირფარეშოს რეაბილიტაცია-მოწყობის მიმდინარე სამუშაოები.

ს კ ვ ე რ ე ბ ი, პ ა რ კ ე ბ ი და ნ ა კ რ ძ ა ლ ე ბ ი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 52 კეთილმოწყობილი სკვერი (7 ქალაქში და 45 სოფლებში), სადაც სიამოვნებით ატარებს დროს და ისვენებს, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ასევე უცხოელი ტურისტები. მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად მატულობს მოწყობილი და სკვერებისა და სარეკრეაციო სივრცეების რიცხვი. 2022 წელს სამ სოფელში 37 000 ლარით დაფინანსდა სკვერების რეაბილიტაციის სამუშაოები, ხოლო 2023 წელს, 232 000 ლარის დაფინასებით: 1 სკვერს ჩაუტარდა რეაბილიტაცია სოფელში და უახლოეს მომავალში 2 სკვერი მოეწყობა ქალაქში. ქალაქ წყატუბოში მდებარეობს უნიკალური 80 ჰა ფართობის პარკი და „ცივი ტბის" მიმდებარე 10 ჰა ფართობის სარეკრეაციო სივრცე, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს, როგორც ადგილობრივ მოსახლოებასა და უცხოელ ვიზიტორებს შორის. 10 წლის წინ რეაბილიტაცია ჩაუტარდა და კეთილმოეწყო პარკისა და „ცივი ტბის" სარეკრეაციო სივრცეები, მაგრამ ამჟამად არსებული ინფრასტრუქტურა კვლავ მოითხოვს მოწყობა-რეაბილიტაციას. საჭიროა ცენტრალური პარკისა და „ცივი ტბის" სარეკრეაციო სივრცეების კეთილმოწყობა და განვითარება, კურორტ წყალტუბოს განვითარების ახლადდამტკიცებული გენერალური გეგმის შესაბამისად. დაწყებულია პროექტის - „ქალაქ წყალტუბოში ცენტრალური პარკის და ცივი ტბის მიმდებარე რეკრეაციული სივრცის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე შესაბამისი სამუშაოების შესრულების

სახელმწიფო შესყიდვა“ განხორციელების პროცესი, რომელიც მგფ-დან 20 000 000 ლარით დაფინასდა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სკვერების, პარკებისა და სარეკრეაციო სივრცეების მოვლა-პატრონობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ 50-მდე თანამშრომელი და სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამით დასაქმებული 100-მდე სოციალურად დაუცველი პირი. ვიზიტირთა და უცხოელ ტურისტთა შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე „სათაფლიას“ ნაკრძალი, სადაც ამჟამდ განთავსებულია ვიზიტორთა ცენტრი, კეთილმოწყობილი კარსტული მღვიმე, დინოზავრის ნაკვალევის საკონსერვაციო ნაგებობა, საგამოფენო დარბაზი, შუშის პანორამულ გადასახედი, კაფეები, სუვენირები მაღაზია და მარკირებული ბილიკები, ასევე სოფელ ყუმისთავში მდებარე ,,პრომეთეს'' მღვიმე, რომელიც გამოირჩევა სიდიდით, მიწისქვეშა მდინარეებით, უნიკალური ნაღვენთი ფორმებითა და ბუნებრივი არქიტექტურით. აღსანიშნავია, რომ ზემოთაღნიშნული პოპულარული ორი ტურისტული ობიექტის გარდა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს სხვა მრავალი საინტერესო ტურისტული ობიექტი: „თეთრი მღვიმე“, „საწურბლიას მღვიმე“, „გაბზარული ტბა“, თამარ მეფის ციხე-დარბაზი, იოანე ნათლისმცემლის სახელობის მე-6 საუკუნის ეკლესია, გიორგი ახვლედიანისა და ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმები და სხვა, სადაც აუცილებელია შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტს დიდი პოტენციალი გააჩნია სპელეოტურიზმის, ექსტრემალური ტურიზმის, აგროტურიზმის, ეკოტურიზმის, საწყალოსნო, სამთო, ქვეითი და საცხენოსნო ტურიზმის განვითარებისათვის. ქალაქ წყალტუბოს ცენტრალურ პარკში მდებარეობს 1000 მაყურებელზე გათვლილი საკონცერტო დარბაზი „ივერია“, რომელიც გასული საუკუნის 80-ან წლებშია აშენებული. წრასულში აქ ყოველდღიურად იმართებოდა კონცერტები, ფესტივალები, სპექტაკლები და სხვა სახის კულტურულ-გასართობი ღონისძიებები, დარბაზს დიდი წვლილი შექონდა კურორტის ყოველდღიურ კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ აგერ უკვე 10 წელზე მეტია რაც დარბაზი არ ფუნქციონირებს. გასულ 10 წლიწადში, საკონცერტო დარბაზს რამოდენიმეჯერ ჩაუტარდა 5 მილიონამდე ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაგრამ სამწუხაროდ დღემდე ვერ მოხერხდა მისი ექსპლუატაციაში გაშვება, რაც დიდად შეუწყობს ხელს კურორტ წყალტუბოში ვიზიტორთა მოზიდვას.

2.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს. სოციალური პროგრამები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური

დახმარებებით უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივიტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, დემოგრაფიული მდგომარეობის

გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური

მდგომარეობის გაუმჯობესებას.პროგრამის მიზანი: სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალურ ეკონოლიკურიმდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაცია. მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა. მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯანმთელობის დაცვის ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 10 ამბულატორია, რომელსაც ,,სოფლის ექიმის" პროგრამის ფარგლებში ყავს ოჯახის ექიმები, 2 პოლიკნიკა და ერთი სამედიცინო ცენტრი.

პრობლემას წარმოადგენს მუნიციპალიტეტში უსახლკაროდ დარჩენილ პირთა მასშტაბური რაოდენობა, რომელთაც არ გააჩნიათ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები, 2023 წლის მდგომარეობით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 61 უსახლკარო პირი, უსახლკარო პირთა სიაში ძირითადად არიან მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელები, სტიქიის შედეგად დაზარალებულები პირები, რომელთაც არ გააჩნიათ არანაირი საცხოვრებელი პირობები. ამ ეტაპზე ბინის ქირით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს განსაკუთრების მძიმე მდგომარეობაში მყოფ მარტოხელა შვიდ ოჯახს, დანარჩენი 54 ოჯახი კვლავ პრობლემის პირისპირ რჩება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ერთი უფასო სასადილო „სათნოების სახლი", აღნიშნული სასადილო ა.(ა)ი.პ. „წყალტუბოს სათნოების სახლი"-ის ბენეფიციერთა შერჩევაზე გადაწყვეტილებას ღებულობს, ბენეფიციართა სიის მონიტორინგის მიზნით შექმნილი კომისია, ბენეფიციარად რეგისტრირდება პირი, რომლის ოჯახიც აღრიცხულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა განისაზღვრება 0-დან 120 000-ის ჩათვლით, ან კიდევ არ არის რეგისტრირებული მონაცემთა ერთიან ბაზაში აღნიშნული ქულით, მაგრამ მისი შემოსავალი ნაკლებია საარსებო მინიმუმზე, მოკლებულია შესაძლებლობას დამოუკიდებლად უზრუნველყოს მინიმალური სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, არის მრავალშვილიანი ან მარტოხელა. სათნოების სახლი აღიჭურვილია ყველა საჭირო

ინვენტარით და სპეციალური ტექნიკით, შეძენილია პროდუქტის შესანახი ანტიბაქტერიული კარადა და მრავალფუნქციური საყინულე მაცივარი. ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები, სპეციალური ხსნარით ხდება სამზარეულოს ინვენტარის დამუშავება. პრობლემის გადაჭრის ერთადერთ გზად მიგვაჩნია სასადილოში ბენეფიციართა რაოდენობის მომატება შესაბამისად კვების რაციონის ასევე ერთ ბენეფიციარზე გასაცემი პროდუქტების რაოდენობის გაზრდა. ასევე, პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ სასადილო მდებარეობს მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე და მისი მოსარგებლე ვერ ხდება ქალაქიდან მოშორებით მცხოვრები მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასი მყოფი ბენეფიციარები.

მუნიციპალიტეტისი ფუნქიონირებს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი, აღჭურვილი სამი სპეცმანქანით, რაც მუნიციპალიტეტის სიდიდის გათვალისწინებით, რომელიც აერთიანებს ქალაქ წყალტუბოს და 47 სოფელს, სრულიად არასაკმარისია. განსაკუთრებით მწვავეა ეს პრობლემა მაღალმთიანი რეგიონის სოფლებისათვის, რომლებიც მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დაშორებულია საშუალოდ 70 კმ-ით. ამას ისიც ემატება, რომ აღნიშნული მიმართულებით საავტომობილო გზის დიდი ნაწილი ამორტიზებულია. არ არის საკმარისი ამბულატორიები და შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრები, ვერ უზრუნველყოფენ გადაუდებელ სამედიცონო მომსახურებას. ვერ ხორციელდება დროული სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა სასწრაფო სამედიცინო ავტომობილების სიმცირის გამო. ყველაზე ეფექტური პრობლემის გადასაჭრელად იქნება სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ერთი ბრიგადა განთავსდეს მაღალმთიანი რეგიონის ოთხი ადმინისტრაციული ერთეულიდან ერთ-ერთში.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს როგორც მთლიანად ქვეყანაში ასევე მუნიციპალიტეტში საყოველთაო დაზღვევა. აღსანიშნავია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პროგრამები მრავალფეროვანია და ყოველწლიურად მზარდია, რაც მეტწილადად ავსებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების საჭიროებებს. სოციალური დაცვის პროგრამა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის პირობებს, მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაციის სახეებს, დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობას, გაცემის პროცედურასა და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სამედიცინო თანადაფინანსების კუთხით პრობლემას წარმოადგენს ონკოლიგიური დაავადებების მქონე პაციენტთა მაღალი პროცენტით მომართვიანობა, გასულ წელს ქიმიო და სხივური თერაპიებისათვის თანადაფინანსების სახით წელიწადში ორჯერ იყო გამოყოფილი ფულადი სახსრები, თუმცა ამ მიმართულებამ ოდნავადაც არ შეამსუბუქა მდგომარეობა, აღნიშნული დაავადების მქონე ბენეფიციარები კვლავ რისკის ქვეშ რჩებიან,

ვერ ახერხებენ დარჩენილი 50% გადახდას, ასევე ძვირადღირებული მედიკამენტების შეძენას. რაც შეეხება ენდემური ტიპის დაავადებებს, მისი გახშირებულ შემთხვევები მუნიციპალიტეტში არ აღინიშნება.

2.5 განათლება, კულტურა და სპორტი

მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის საშუალო და სკოლამდელი განათლების დაწესებულებები. განათლების ინფრასტრუქტურა შედარებით კარგ მდგომარეობაშია, თუმცა საჭიროა სკოლამდელი საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა და დამატება მუნიციპალიტეტში, რაზეც ადგილობრივი თვითმმართველობა მუშაობს აქტიურად და ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საბავშვო ბაღების რიცხვი 12-დან გაიზარდა 18-მდე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 24 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (ხუთი საბავშვო ბაღი მდებარეობს ქალაქის ტერიტორიაზე, ხოლო 19 სოფლის ტერიტორიაზე).

მოსწავლეთა რაოდენობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით შეადგენს - 5650 (მოსწავლე) სკოლების რაოდენობა კი - 42 (ორმოცდაორი) 2 - კერძო (სკოლა,,ოცნება“ და ,,სასულიერო გიმნაზია „) 30 - საშუალო საფეხურის 12- საბაზო საფეხურის ხოლო, ერთი მათგანი (მექვენის) საჯარო სკოლა მოსწავლის არარსებობის გამო დროებით არ ფუნქციონირებს. ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეობს 6 სკოლა (ზემოხსენებული- 2 კერძო და 4 საჯარო სკოლა) სკოლების რეაბილიტაცია : მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულ თითქმის ყველა სკოლაში, საჭიროებისამებრ, გეგმაზომიერად მიმდინარეობს სკოლის შენობების ეტაპობრივი რეაბილიტაცია. მათ შორის გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე, ამჟამად მიმდინარეობს სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითის საჯარო სკოლის შენობის დემონტაჟი. სკოლა განთავსებულია ალტერნატიულ ფართში და სასწავლო პროცესს განაახლებს უახლესი სტანდარტებით აშენებულ ახალ სკოლის შენობაში. სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლის შენობის სრული რეაბილიტაციის გამო სკოლა განთავსებულია ალტერნატიულ ფართში. გასულ წლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით აშენდა ორი, სრულიად ახალი, თანამედროვე ტიპის სკოლის შენობა : სსიპ ნიკო ლორთქიფანიძს სახელობის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლა და სსიპ

თამარ მეფის სახელობის სოფელ გეგუთის საჯარო სკოლა, რომელმაც ახლახანს, წარმატებით გაიარა სკოლის ავტორიზაციის პროცესი. სკოლის შენობების გათბობა: 25 სკოლა სათბობად იყენებს შეშას, 13 სკოლა - თბება ბუნებრივ აირზე და 1 - სკოლა გასათბობად იყენებს ელექტროენერგიას. სკოლების აღჭურვა: დღეის მდგომარეობით, უწყვეტად მიმდინარეობს საჯარო სკოლების აღჭურვა ახალი კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერებით,

პროექტორებით და ა.შ. საჭირო ტექნიკით. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სოლის მოსწავლეს (5650 მოსწავლე) უსასყიდლოდ ურიგდება სასკოლო სახელმძღვანელოები და რვეულები. ასევე, კერძო სკოლების სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს სამინისტრო

უზრუნველყოფს სახელმძღვანელოებით. I-II-III კლასელებს საჩუქრად გადაეცემათ პორტაბელური კომპიუტერები(ბუკი). მიმდინარე 2023-2024 სასწავლო წელს 40 წარჩინებულ მოსწავლეს (საბაზო საფეხურის წარმატებული კურსდამთავრებული) სამინისტროსგან საჩუქრად გადაეცათ პორტაბელური კომპიუტერები.

მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით. პედაგოგიური პერსონალი: მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოღვაწეობს - 761პედაგოგი აქედან, 546 - უფროსი; 197 - წამყვანი; 18 - მენტორი. სკოლებშიდასაქმებულთა რიცხვი ჯამურად შეადგენს - 1138 ადამიანს. სკოლის მოთხოვნისშესაბამისად, 26 საჯარო სკოლაში დასაქმებულია სპეციალური მასწავლებელი დაინდივიდულური ასისტენტი. საკადრო დეფიციტი შეინიშნება, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი ზონის სკოლებში (საჩხეური, დღნორისა, დერჩი). აღნიშნული სკოლები დაშორებულია ცენტრიდან დაახლოებით - 80კმ-ით. ამასთან, თითოეული მათგანი მცირეკონტინგენტიანია და გამომდინარე აღნიშნულიდან სასწავლო დისციპლინებში (ბიოლოგია, ინგლისური, ქიმია, ფიზიკა) წარმოიქმნება კვალიფიციური კადრების დეფიციტი, რომლის აღმოსაფხვრელად სამინისტროს დამატებით ძალისხმევა სჭირდება ყოველწლიურად. უახლოეს პერიოდში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ყველა სკოლაში იქნება სკოლის ექიმი/ექთანი. უმეტეს სკოლებში სამედიცინო კაბინეტები მოწყობილია, მიღებული აქვთ სამედიცინო აღჭურვილობა. 26 (ოცდაექვსი) საჯარო სკოლა ჩართულია ,,მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამაში. სკოლიდან 2 (ორი) კილომეტრის მანძილით დაშორებული მოსწავლის საცხოვრებელი ადგილიდან გადაადგილებას უსასყიდლოდ უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სასურველი იქნება, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავდეს კვალიფიციური ფსიქოლოგი, თუმცა ამ ეტაპზე, საკადრო დეფიციტიდან გამომდინარე, სკოლა მოკლებულია მსგავსი ტიპის მომსახურებას.

კულტურისა და სპორტის სერვისები - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული ძეგლების რაოდენობა 65-დან 74-მდე გაიზარდა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვხვდებით ბუნების ძეგლებს, რომლებიც ასევე არის მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტები:

- სათაფლიის ნაკრძალი,
- სათაფლიის მღვიმე,
- პრომეთეს მღვიმე,
- თეთრა მღვიმე.
- გაბზარული ტბა.

კულტურის სფეროს განვითარებას ემსახურება:ააიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“, რომლის დაქვემდებარებაში არის:საკონცერტო დარბაზი „ივერია“,28

ბიბიოთეკა: აქედან ორი ქალაქის ბიბლიოთეკა ხოლო 26 სოფლის ბიბლიოთეკა,9 სოფლის კლუბი;2 კულტურის სახლი:3 მუზეუმი:. ანსამბლები:სიმღერის ფოკლორული ანსამბლი "ნადური",ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი. მუნიციპალიტეტსი ფუნქციონირებს: ააიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებათა გაერთიანება“; რომელშიც გაერთიანებულია 24 საბავშო ბაღი, აქედან 5 ქალაქის ბაღი და 19 სოფლის ბაღი. ააიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“, რომელშიც გაერთიანებულია სამუსიკო და სამხატვრო სასწავლებლები. ასევე სოფელ გვიშტიბში მდებარეობს კერძო მუზეუმი: მწერალ ოტია იოსელიანის სახლი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სპორტს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული დაწესებულებები:

- ✓ შპს საფეხბურთო კლუბი „სამგურალი“;
- ✓ ა.ა.ი.პ ,,არენა''
- ✓ ა.ა.ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „სპორტული კლუბების გაერთიანება“.

მუნიციპალიტეტი სპორტის განვითარების კუთხით ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, აფინანსებს თითოეულ სპორტულ დაწესებულებებს და მაქსიმალურად ცდილობს მოსახლეობაში და განსაკუთრებით ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას. წყალტუბოში ამ ეტაპზე არსებული სპორტული, საგანმანათლებლო და კულტურული ინფრასტრუქტურა საკმარისია აღნიშნული სფეროების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. თუმცა „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება” -ში არსებობს პრობლემები, რომლებიც უახლოეს პერიოდში მოგვარებული იქნება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სპორტს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული დაწესებულებები:

2. 6 გარემოს დაცვა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსებით, რომლის მთავარი არტერიაა მდინარე რიონი, შენაკადებით, მდ. წყალტუბო და გუბისწყალი. რეგიონის ძირითადი მინერალური რესურსია წყალტუბოს ცნობილი სამკურნალო თერმული წყალი, რომელიც ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით უნიკალურია. მისი ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა რადიოაქტივობა.

2004 წლის ინვენტარიზაციის მასალების მიხედვით ტყეს უჭირავს 25 000 ჰა ფართობი. მუნიციპალიტეტში არის სამრეწველო, სუბალპური, ჭალისპირა და დაცული ტერიტორიის (სათაფლიის ნაკრძალი) ტყეები.

ბუნებრივი საფრთხეებიდან ადმინისტრაციული ერთეულისათვის სახასიათოა ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, მდინარის ნაპირების ეროზია, მიწისძვრა და ნაწილობრივ გვალვა. მუნიციპალიტეტის ზედა ზონებში საფრთხეს ქმნის მეწყერული მოვლენები, ნაპირების წარეცხვა (მდინარე რიონის შუა წელში და ქვედა ზონებში) და ძლიერი ქარი. ყველა ჩამოთვლილი მოვლენა ძირითადად საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას (გზებს და ხიდებს), სახნავ–სათეს და სათიბ–საძოვრებს.

ბუნებრივ საფრთხეებს ქმნის ძლიერი წვიმების შედეგად წარმოქმნილი ნიაღვარი, რაც სისტემატურად აზიანებს საგზაო ინფრასტრუქტურას და საცხოვრებელ სახლებს, რაზეც თვითმმართველობის მიერ ხდება დაუყოვნებლივი რეაგირება და ზარალის აღმოფხვრა.

დატბორვის და საკარმიდამოების ჩარეცხვა-ჩამოშლის განსაკუთრებული პრობლემა დგას შემდეგ სოფლებში: ჟონეთი, ზარათი, რიონი, სადაც აუცილებელია ნაპირსამაგრების მოწყობა. აღნიშნული კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ბოლო წლებში, როცა მოეწყო 480 მ სიგრძის ნაპირსამაგრი, თუმცა აღნიშნული არასაკმარისია და საჭიროებს დამატებით 1 კმ-მდე ნაპირსამაგრის მოწყობას.

ნ ა რ ჩ ე ნ ე ბ ი ს მ ა რ თ ვ ა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი და შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენების მზარდი დინამიკა ფიქსირდება ბოლო წლების განმავლობაში. შესაძლებელია იმ ნარჩენებს რაოდენობის იდენტიფიკაცია, რომელთა ორგანიზებული შეგროვება და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელამდე ხორციელდება ა(ა)იპ „წყალტუბოს კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“ მიერ. საშუალოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შემადგენლობაში შედის: ორგანული ნარჩენები - არანაკლებ 50-54%, პლასტიკის ნარჩენები - არანაკლებ 10-13%, ქაღალდი და მუყაო - არანაკლებ 10%, მშენებლობის და ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენები - არანაკლებ 2-3%, ტექსტილი - არანაკლებ 4%, მინა -არანაკლებ 2%, ლითონი- არანაკლებ 1.4%, სხვა ნარჩენები - 11%. ა(ა)იპ „წყალტუბოს კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება“–ს ამოცანებია: ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების (ქუჩები, სკვერები, რეკრეაციული ზონები, მოედნები და სხვა) დაგვა და სანიტარული დასუფთავება, ანახვეტისა და საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების ქალაქგარეთ ნაგავსაყრელზე გატანა. დასუფთავების სამსახური ემსახურება მოსახლეობის 53% (37,267 მოსახლე). ერთ სულ მოსახლეზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 0.46 $მ^3$. ქალაქის განსაზღვრულ ტერიტორიებზე ნარჩენებისათვის განკუთვნილი კონტეინერების განთავსება და მათი დეზინფექცია შესაბამისი წესების დაცვით. წყალტუბოს მუნიციპალიტეტს ოფიციალურად ემსახურება ქუთაისი-გეგუთის მაგისტრალზე, ნიკეას ქუჩის გასწვრივ მდებარე ნაგავსაყრელი, სადაც ხდება საყოფაცხოვრებო მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება. მუნიციპალიტეტში დღევანდელი გამოწვევებიდან გამომდინარე უმჯობესია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაკეთდეს სხვადასხვა სახის ნარჩენის მიმღები და გადამამუშავებელი პუნქტი. ამჟამად, არსებული რესურსით ნაგავმზიდები ყოველდღიურ რეჟიმში ემსახურება შემდეგ ლოკაციებს: - ქალაქ წყალტუბოს, სოფლებს: - გვიშტიბს, გუბისწყალს, ბანოჯას, გუმბრას, სოფელ

წყალტუბოს, ქვილიშორს, ყუმისთავს, მაღლაკს, ფარცხანაყანევს, ქვიტირს, ზედა მესხეთს, მუხიანს, გეგუთს და ვარციხჭესს. სადაც ხდება ყოველდღიური ნარჩენების შეგროვება. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მუნიციპალიტეტს ესაჭიროება 3 ერთეული ნაგავმზიდი, 2 ერთეული 10 კუბიანი და 1 ერთეული 16 კუბიანი. 1 ერთეული ქუჩების სარეცხი სპეციალური მანქანა და 100 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური ნარჩენების 2023-2027 წლების გეგმა მიღებულ იქნა 2022წლის დეკემბერში. ის ღონისძიებები, რომლებიც ვერ მოხერხდა წინა გეგმის ფარგლებში, განხორციელდება მომდევნო 5 წლიან გეგმაში. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ძირითადი ამოცანებია: 1. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების მომსახურების გაფართოება. 2. პლასტიკისა და ქაღალდის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფა. 3. გარემოსდაცვითი აქციების ორგანიზება. 4. ნარჩენების შეგროვების მუნიციპალური მომსახურების დანერგვა ისეთ თემებში, სადაც ჯერ მომსახურება არ ხორციელდება. 5. არალეგალური სტიქიური ნაგავსაყრელების აღკვეთა. 6. ნარჩენების კომპოსტირების ხელშეწყობა. 7. ქალაქ წყალტუბოს ტერიტორიაზე დაგვა-დასუფთავების გაუმჯობესება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 1 კუბ.მ. მოცულობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების 480 კონტეინერი (200 ქალაქში და 280 სოფლებში). ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა ხდება წნეხიანი 4 დიდი ზომის და 3 მცირე ზომის სპეცავტომანქანით, რომელთაც ემსახურება 22 მტვირთავი. პარკების, სკვერების და ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავებას ემსახურება 51 მეეზოვე.

2.7 მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ხელისუფლება ხორციელდება ადგილობრივი თვითმართველობის მეშვეობით, რომელიც შედგება წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (მერია) ორგანოებისაგან. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 39 წევრისგან. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის მერი, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტს, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებასა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებების აღსრულებას ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების შესაბამისად. მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელება.

მუნიციპალიტეტში ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ხელმისაწვდომია სახელმწიფო სერვისები. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შემდეგი ორგანოები:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალტუბოს რაიონული სამმართველო;

- იუსტიციის სახლი (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სახელმწიფო სერვისების მომსახურების სააგენტო, საქართველოს ეროვნული არქივი)
- სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის წყალტუბოს რაიონული სამმართველო;
- სოციალური მომსახურების სააგენტოს წყალტუბოს მომსახურების ცენტრი;
- საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი;
- წყალტუბოს მაგისტრატი სასამართლო;
- წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისია;
- საქრთვლოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წყალტუბოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 42 230.7 ათ. ლარს. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის საბიუჯეტო პროგრამა 2023 წლისათვის შეადგენს 7.0 ათ. ლარს. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობები შეადგენს 38 334.6 ათ. ლარს. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯი 1 სულ მოსახლეზე შეადგენს 0.9 ათ. ლარს. 2021 წლისათვის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენდა 30 753.1 ათ. ლარს. 2022 წლისათვის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენდა 39729. 0 ათ. ლარს. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი უკანასკნელი წლების განმავლობაში მზარდი დინამიკით გამოირჩევა. 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი წლის დასაწყისში შეადგენდა 20 116.4 ათას ლარს, რომლის მოცულობაც წლის ბოლოსათვის 39 729.0 ათასი ლარით განისაზღვრა. ხოლო 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი წლის დასაწყისში შეადგენდა 24 914.9 ათას ლარს, რომლის მოცულობაც დღეის მდგომარეობის 42 230.8 ათასი ლარია. რაც შეეხება 2024 წლის ბიუჯეტს 2023 წლის ბიუჯეტთან მიმართებაში იზრდება 4 438.2 ათასი ლარით. კერძოდ: ბიუჯეტის ზრდა განაპირობა დამატებითი ღირებულების გადასხადის გეგმის ზრდამ 3 918.0 ათასი ლარით და ქონების გადასახადის გეგმის ზრდამ 500.0 ათასი ლარით. ბიუჯეტის აღნიშნული ზრდა პირდაპირ აისახება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რადგან მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მთლიანი ბიუჯეტის 49 % მიმართულია ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში ხორციელდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული საავტომობილო გზების რეაბილიტირება, რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ასევე საჭიროების შემთხვევაში თოვლის საფარისგან, მეწყერის, ძლიერი ნალექის შედეგად დაზიანებული გზის გაწმენდა-შეკეთება, ორმოული შეკეთება, შუქნიშნების შეკეთება და სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების მოწყობა. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოხდება გზების რეაბილიტაციაკაპიტალური შეკეთება როგორც მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი დაფინანსებით

პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება ასევე წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება, როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებულიხარჯები.

2023 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება მთლიანი გადასახდელების 49.7%-ია, სტაბილურად იზრდება ბიუჯეტის ყველა პრიორიტეტული სფეროს დაფინანსება. მათ შორისაა: დასუფთავება და გარემოს დაცვა, სკოლამდელი დაწესებულებები, კულტურული ღონისძიებები და სპორტული აქტივობები, მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებები. ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ტურიზმის, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას.

1. SWOT ანალიზი

ანალიზის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ შესაძლებელი გახდა ჩამოყალიბებულიყო ადგილობრივი ეკონომიკის SWOT ანალიზი, არსებული ვითარება, ის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, რომელიც მოიცავს მთლიან ადგილობრივ არეალს და აღნიშნულით გამოვლენილ იქნა ეკონომიკის მამოძრავებლები, რომელიც მოიცავს ადგილობრივ ეკონომიკას და გამოყენებულ იქნა მუნიციპალიტეტის მიერ საერთო ხედვისა და სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბების დროს. SWOT ანალიზი მომზადდა საჯარო, კერძო, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, საქართველოში სიდიდით მეორე ქალაქ ქუთაისთან სიახლოვე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საერთაშორისო აეროპორტის მდებარეობა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის გავლა; • ტურისტული რესურსის მრავალფეროვნება-ეკო ტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი; • მრავალფეროვანი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა; • სოფლის მეურნეობის ზრდის ტენდენცია, აგროტურიზმის განვითარებისათვის სათანადო რესურსის არსებობა; • მუნიციპალიტეტის 10 სოფლისთვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭება და მათზე გავრცელებული საგადასახადო და სოციალური შეღავათები; • მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალით დაინტერესება; • მინერალურ-რადონული წყლების რესურსი	• შრომის დაბალი ანაზღაურება, რაც იწვევეს სამუშაო ძალის გადინებას მუნიციპალიტეტიდან; • კომერციული კრედიტების სიძვირე და კაპიტალის ალტერნატიული წყაროების არარსებობა; • ფართოდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო ბაზის არარსებობა საინვესტიციო შესაძლებლობებზე; • მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის არასაკმარისი ცნობადობა და პოპულარიზაცია; • ფაქტობრივი უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლები და დასაქმების მწირი შესაძლებლობები ადგილობრივი მოსახლეობისთვის; • პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების არარსებობა; • უსახლკაროთა თავშესაფრის არარსებობა; • სოციალური უზრუნველყოფის ხელშეწყობის ნაკლებობა. • ნაგავსაყრელის დაურეგულირებლად გაჩენა (გასაკუთრებით სოფლების მიმდებარე ტერიტორიაზე). • მიუსაფარი ძაღლების თავშესაფრის არარსებობა.

შესაძლებლობები	**საფრთხეები**
● მრავალფეროვანი ტურიზმის განვითარების მაღალი პოტენციალი. ● ტურისტების ზრდის ტენდენცია; ● ინვესტორების დაინტერესება და მოზიდვა; ● ტურისტული მარშუტების განვითარება; ● მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი მეტი სახელმწიფო პროგრამების არსებობა; ● მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშვნა; ● კერძო და საჯარო სექტორებს შორის ურთიერთთანამშრომლობის დანერგვა. ● სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარიხის გაუმჯობესება	● ბუნებრივი მოვლენები; ბუნებრივი კატაკლიზმები და სტიქიური უბედურებები; ● გარემოს დაბინძურების რისკები; ● შრომისუნარიანი და პროდუქტული მოსახლეობის მიგრაციის მაღალი დონე; ● ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი. ● პოლიტიკური არასტაბილურობა;

2. განხორციელების მექანიზმი

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება დოკუმენტით წარმოდგენილი გეგმებისა და ხედვების განხორციელებისას გაითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

გამართული კოორდინაცია სხვადასხვა მხარეებთან - პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების შედეგიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ყველა საჯარო უწყების ეფექტურ კოორდინაციაზე. განსაკუთრებული როლი უჭირავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კოორდინაციას ცენტრალურ ხელისუფლებასთან. იმისთვის რომ ადგილობრივ დონეზე განხორციელებული პროექტები იყოს ხარჯეფექტიანი მართველობის ორ დონეზე დაგეგმილი ღონისძიებები ერთმანეთს უნდა ავსებდეს, არ ხდებოდეს აქტივობების გამეორება და იყოს მჭიდრო კომუნიკაცია ორივე მხარეს შორის. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოხდება ცენტრალური ხელისუფლების გეგმებისა და ხედვების გათვალისწინება ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისას, მჭიდრო იქნება ცენტრალურ სახელისუფლებო უწყებებთან კოორდინაცია.

პარტნიორობა - პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პარტნიორობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. პარტნიორობა გათვალისწინებული არის როგორც დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე, ისე მისი განხორციელების ეტაპზე. თითოეულ მხარეს, ეს იქნება თავად ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორი თუ სხვა, აქვს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა ერთიანი მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. შესაბამისად, პარტნიორობის პრინციპი იქნება ერთ-ერთი ფუძე დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას.

კანონიერების პრინციპი - ფინანსური სახსრების ხარჯვა მოხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ფუნქციები მართველობის სხვადასხვა დონეზე მკაფიოდ იქნება გამიჯნული და გადანაწილებული. ფინანსური პასუხისმგებლობა დაეკისრება აქტივობის დამფინანსებელ ორგანიზაციას.

წინამდებარე სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნების, ამოცანების, აქტივობების, აქტივობის შედეგის ინდიკატორის, განხორციელების პერიოდის, შესაბამისი ბიუჯეტის, დაფინანსების წყაროსა და განმახორციელებელი უწყების შესახებ კონსოლიდირებულ ინფორმაციას.

სამოქმედო გეგმის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს.

ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე განხორციელდება არსებულის მონიტორინგი და შეფასება, რაც საფუძველი იქნება მომდევნო 2 წლიანი პერიოდის მეტად ეფექტურად და ხარჯეფექტიანად დასაგეგმად. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება მთლიანი დოკუმენტის შუალედური შეფასების ნაწილს წარმოადგენს.

შედეგად, შესაძლებელია სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა, თუმცა საჭიროა აღნიშნული ცვლილებების მიზანშეწონილობის დასაბუთება.

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება აქცენტს გააკეთებს მომდევნო პერიოდში ყველა მიზნისა და ამოცანის მოცვაზე, და ამისთვის აქტიურად იმუშავებს დამატებითი ფონდების მოძიების თუ საკუთარი ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფის კუთხით.

1. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები

პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, მუნიციპალიტეტმა განსაზღვრა საშუალოვადიანი ხედვა შესაბამისი მიზნებითა და ამოცანებით. მათი განხორციელების საფუძველზე აქტიურად შეეწყობა ხელი მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და უზრუნველყოფილ იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ხელსაყრელი პირობების შექმნა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამონაწილეობის, საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ქმედებების ძირითადი ნაწილს წყალტუბოს მუნიციპალიტეტი დააფინანსებს საკუთარი ბიუჯეტიდან, ამასთან ღონისძიებების ნაწილი განხორციელდება სახელმწიფო, სამოქალაქო და კერძო სექტორის თანამონაწილეობით. ნაწილი აქტივობები დაგეგმილია დონორის მოძიების იმედად და დაფინანსების გარე წყაროების მოსაძიებლად.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ხედვა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი არის ეკონომიკურად განვითარებული საერთაშორისო დონის სპა-კურორტი, მიმზიდველი ადგილით ცხოვრებისა და მუშაობისთვის, სადაც განვითარებულია მრავალფეროვანი ტურიზმი (ეკოტურზმი, აგროტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი) და უზრუნვეყოფილია ბიზნეს სექტორის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

მიზანი 1.	**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**	
ამოცანა 1.1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული საავტომობილო გზების რეაბილიტირება, რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება.	
ამოცანა 1.2	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეაბლიტირებული გზების მოვლა, რაც გულისხმობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდას, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრასა და ორმოულ შეკეთებას.	
ამოცანა 1.3	მოსახლეობის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება.	
1.4 ამოცანა	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	
ამოცანა 1.5	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია,	
	შედეგი 1.	მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისთვის შექმნილი უსაფრთხო გარემო. რეაბილიტირებული წყლის სისტემები. რეაბილიტირებული შენობები მოქალაქეებისთვის და შექმნილი უსაფრთხო გარემო, მოწყობილი სკვერები და ატრაქციონები.
მიზანი 2.	**მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეების მოწესრიგება და რეაბილიტირება, მათი ადაპტირება ქალებისა და მამაკაცების, ბავშვების, შშმ პირების საჭიროებებზე.**	
ამოცანა 2.1	მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა.	
ამოცანა 2.2	ნაგავშემკრები კონტეინერები და ნაგავმზიდი მანქანების შეძენა	
ამოცანა 2.3	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	
	შედეგი 2.	ქალაქში შენარჩუნებული სანიტარული წესრიგი, გაუმჯობესებული სანიტარული პირობები.შეძენილი კონტეინერები და ნაგავმზიდი მანქანები,ახლადაშენებული სპორტული მოედნები, განახლებული ქალაქის სპორტული ინფრასტრუქტურა, რომელიც ადაპტირებულია როგორც ქალთა ასევე მამაკაცთა საჭიროებებზე,
მიზანი 3.	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ხელშეწყობა.**	
ამოცანა	სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის შესაბამისი მუნიციპალური	

3.1	პროგრამით სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა.	
ამოცანა 3.2	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობებით უზრუნველყოფა პროგრამული დაფინანსების გაზრდით.	
	შედეგი 3.	სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის შესაბამისი მუნიციპალური პროგრამით უზრუნველყოფილია სოციალური დახმარება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის უზრუნველყოფილია სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობები. ნაწილობრივ გაუმჯობესებულია მათი ცხოვრების მდგომარეობა.

2024-2027 წლების სამოქმედო გეგმა

1. **მიზანი 1:**		ინფრასტრუქტურის განვითარება			**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:**			**მიზანი 9;11**				
ამოცანა 1.1:		წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული საავტომობილო გზების რეაბილიტირება, რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება.										
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:		ახალი და რეაბილიტირებული გზების სიგრძე (კმ)		**საბაზისო**	**სამიზნე**			**დადასტურების წყარო**				
					შუალედური	**საბოლოო**						
			წელი	**2024**	**2025**	**2026**		შესრულებული სამუშაოს აქტი.				
			მაჩვენებელი									
აქტივობა		**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**	**დადასტურების წყარო**	**პასუხისმგებელი უწყება**	**პარტნიორი უწყება**	**შესრულების ვადა**	**ბიუჯეტი [₾}**	**დაფინანსების წყარო**				
								მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		**სხვა**		**დეფიციტი**
								ოდენობა [₾}	**კოდი**	**ოდენობა [₾}**	**ორგანიზაცია**	
1.1.1	მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, გადაადგილების გამარტივება, გამტარიანობის ზრდა.	მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისთვის შექმნილი უსაფრთხო გარემო.	შესრულებული სამუშაოს აქტი.	**მუნიციპალიტეტის მერია**	**მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შიდაეკონომიკის)**	**01,01,2024-31,12,2027**	**1743,3**	**1743,3**	**02 01**			
ამოცანა 1.2:		წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეაბლიტირებული გზების მოვლა, რაც გულისხმობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდას, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრასა და ორმოულ შეკეთებას.										

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1:	ორმოულად შეკეთებული გზების საერთო სიგრძე (კმ); სტიქიისგან დაზიანებული გაწმენდილი გზების სიგრძე (კმ)		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2024	2025	2026	
		მაჩვენებელი	500,0	600,0	700,0	მიღება – ჩაბარება, ექსპერტიზის დასკვნა

აქტივობა		აქტივობის შედეგის ინდიკატორი		დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა	ბიუჯეტი [ლ}	დაფინანსების წყარო					
									მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		სხვა			
									ოდენობა [ლ}	კოდი	ოდენობა [ლ}	ორგანიზაცია	დეფიციტი	
1.2.1	წყლის სისტემების განვითარება	1.2.1.1	რეაბილიტირებული წყლის სისტემები,	სამუშაოების შესრულების აქტი	მუნიციპალიტეტის მერია	მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების	01,01,2024-31,12,2024	1031,5	1031,5	0202				

ამოცანა 1.3:	მოსახლეობის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება.					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1:	რეაბილიტირებული წყლის სისტემების რაოდენობა.		საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო
				შუალედური	საბოლოო	
		წელი	2024	2025	2026	სამუშაოების შესრულების აქტი

1.4.1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნამოხვანში ბიბლიოთეკის ყოფილი შენობის რეაბილიტაცია, სოფელ გუმბრაში (გუმბრინის დასახლება) გოჩა წულაიას სახელობის სკოლის რეაბილიტაცია, ქალაქ წყალტუბოში კოლხეთის ქუჩა #2-ში მდებარე შენობის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია, სოფელ გეგუთში ვარციხეჰესის სასახლეებაში საჯარო სკოლის შენობაში პირველ და მეორე სართულებზე არსებული 500 კვ. ფართის რეაბილიტაცია,	1.4.1.1.	კმაყოფილი მოსახლეობა	მოსახლეობის გამოკითხვა	მუნიციპალიტეტის მერია	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური)	01,01,2024-31,12,2024	150,000	150,000	02 04			
ამოცანა 1.5:												
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.5.1:												

			საბაზისო	სამიზნე		დადასტურების წყარო
				შუალედური	საბოლოო	

	გუმბრაში ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა.												

მიზანი 2:			მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეების მოწესრიგება და რეაბილიტირება, მათი ადაპტირება ქალებისა და მამაკაცების, ბავშვების, შშმ პირების საჭიროებებზე.			**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:**						**მიზანი 5; 9; 11**	
ამოცანა 2.1:			მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა.										
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1:			გატანილი ნარჩენების რაოდენობა (ტონა)		**საბაზისო**	**სამიზნე**			**დადასტურების წყარო**				
						შუალედური	**საბოლოო**						
				წელი	**2024**	**2025**	**2026**		**დასუფთავებული გარემო**				
				მაჩვენებელი									
აქტივობა	**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**	**დადასტურების წყარო**	**პასუხისმგებელი უწყება**	**პარტნიორი უწყება**	**შესრულების ვადა**	**ბიუჯეტი [₾}**	**დაფინანსების წყარო**						
							მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		**სხვა**		**დეფიციტი**		
							ოდენობა [₾}	**კოდი**	**ოდენობა [₾}**	**ორგანიზაცია**			

2.1.1	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა.		ქალაქში შენარჩუნებული სანიტარული წესრიგი, გაუმჯობესებული სანიტარული პირობები.	გაუმჯობესებულია სანიტარული პირობები.	მუნიციპალიტეტის მერია	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების	0101,2024-31,12,2024	2038,4	2038,4	0303			
ამოცანა 2.2.			ნაგავშემკრები კონტეინერები და ნაგავმზიდი მანქანების შეძენა										
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1:					**საბაზისო**	**სამიზნე**			**დადასტურების წყარო**				
						შუალედური	**საბოლოო**						
				წელი	**2024**	**2025**	**2026**						
				მაჩვენებელი									

აქტივობა		**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**		**დადასტურების წყარო**	**პასუხისმგებელი უწყება**	**პარტნიორი უწყება**	**შესრულების ვადა**	**ბიუჯეტი [₾}**	**დაფინანსების წყარო**				
									მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		**სხვა**		**დეფიციტი**
									ოდენობა [₾}	**კოდი**	**ოდენობა [₾}**	**ორგანიზაცია**	
2.2.1	შეუფერხებლად განხორციელდეს მუნიციპალიტეტის დასუფთავება.	2.2.1.1	შეძენილი კონტეინერების და ნაგავმზიდი მანქანების რაოდენობა	**მიღება ჩაბარების აქტი**	**მუნიციპალიტეტის მერია**	**მერია (ზედამხედველობის, სავრცითი მოწყობისა და**	**02.2020-01.2021**	**751,1**	**751,1**	**0305**			
ამოცანა 2.3.:			სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა										
ამოცანის შედეგის			ახლადაშენებული სპორტული მოედნების		**საბაზისო**	**სამიზნე**			**დადასტურების წყარო**				
						შუალედური	**საბოლოო**						

ინდიკატორი 2.3.1:														

მიზანი 3:														

ინდიკატორი 3.2.2:	ოჯახებისათვის მცირე ფართიანი ინდივ. საცხოვრებელი სახლის მშენებლობა	წელი	2024	2025	2026	
		მაჩვენებელი				

2. მონიტორინგი და შეფასება

განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისკენ სვლის შესაფასებლად პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტის გათვალისწინება. გეგმის მონიტორინგი განხორციელდება სისტემატურად, რაც გულისხმობს მონიტორინგის და შეფასების გეგმის მიხედვით გაწერილი საქმიანობების განხორციელებას, აქტივობების და პროექტების შესრულების მეთვალყურეობას დროულად ხარვეზების, შეფერხებისა თუ წარმატების შემთხვევების გამოვლენის მიზნით.

მონიტორინგის მონაცემების რეგულარული გაანალიზება ადგილობრივ ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს შესაბამისი პროგრამული ცვლილებები სამოქმედო გეგმის საერთო განხორციელებისა და მიზნის მიღწევის პროცესიის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, საჭიროების შემთხვევაში.

მონიტორინგის ანგარიშები მომზადდება შემდეგი პრინციპებისა და ტექნიკური სტანდარტების დაცვით:

დროულობა - ანგარიშები მომზადდება დროულად, პერიოდის შერჩევა მოხდება საბიუჯეტო პროცესისა და კალენდრის გათვალისწინებით.

ფოკუსირებული - ანგარიშებში წარმოდგენილი იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგალითად, კონკრეტულ პრიორიტეტებსა და აქტივობებთან დაკავშირებული მიღწევები, შესაბამისი ინდიკატორებითა და მაჩვენებლებით.

მკითხველზე ორიენტირებული - ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება მომხმარებლისთვის გასაგებ და ადვილად აღქმადი ინსტრუმენტებით, დოკუმენტი იქნება მარტივად კითხვადი და აღსაქმელი.

რელევანტური - ანგარიშგება მოხდება მხოლოდ რელევანტურ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. დოკუმენტისთვის არარელევანტური იქნება ყოველდღიური ადმინისტრაციული ხასიათის ინფორმაციისა და აქტივობების შესახებ დეტალების აღწერა/წარმოდგენა, რაც არ სძენს დოკუმენტს დამატებით ღირებულებას, და ნაკლებად საინტერესოა საზოგადოებისათვის.

მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში ადგილობრივი ხელისუფლება მიესალმება საზოგადოების ორგანიზაციების, მოქალაქეებისა და ბიზნეს სექტორის ჩართულობას, რაც მეტად ეფექტიანს გახდის ამ პროცესს.

მონიტორინგი და შეფასება, რაც დაკავშირებულია სამოქმედო გეგმის განახლებასთან, დაგეგმილია 2 წელიწადში ერთხელ. გამომდინარე იქიდან, რომ 1 მარტამდე მზადდება ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რასთან ერთად განხორციელდება მონიტორინგისა და შეფასების ნაწილიც, პირველი წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გათვალისწინებით.

შედეგების საფუძველზე კი მოხდება სამოქმედო გეგმის განახლება უკვე შემდეგი ორი წლისათვის.

შედეგად განხორციელდება:

- შედეგებისა და გავლენის შეფასება მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად საშუალო და გრძელვადიანი პერიოდზე;
- გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება;
- ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დონის ამაღლება;
- რესურსების ეფექტიანი განაწილების ხელშეწყობა მიზნებსა თუ მიზნობრივ პროგრამებს შორის.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლინდება:

- რამდენად წარმატებით მოხდა იმ სასურველი შედეგის დადგომა რაც მიზნებსა და ამოცანებში არის ასახული; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით;
- რამდენად წარმატებით მოხდა იმ პრობლემებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების გადაწყვეტა რაც მიზნებსა და ამოცანებში იყო წარმოდგენილი; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით.